ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მაიკო ოკუჯავა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები

ხელმძღვანელი: მარინა მაისურაძე

თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები , რომელიც მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შედგება აქტივების , ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალისაგან, რომელიც წარმოადგენს საწარმოს საქმიანობის ფინანსურს სურათს დასრულებული წლისათვის. მასში ასახულია ინფორმაცია ძირითად საშუალებებზე, საინვესტიციო ქონებაზე, არამატერიალურ აქტივებზე, ინვესტიციებზე, მარაგებზე, მოთხოვნებზე, ფულად სახსრებზე, ვალდებულებებზე და ა.შ რომლებიც იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან აქტივებად და ვალდებულებებად.

სრული შემოსავლების ანგარიშგებაში შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებს და შემოსულობას. ამონაგები წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან, ამონაგები მომსახურეობის გაწევიდან, პროცენტი, დივიდენდი, როიალტი, საიჯარო ქირა. შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლის შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. სხვა სრული შემოსავლები კი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან, რომელიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში. რაც შეეხება ხარჯებს, მ/ზ-ის ანგარიშგებაში მათი აღიარება ხდება ეკონომიკური შინაარსის ან საწარმოს ფუნქციების შესაბამისად.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შემოსვლასთან და გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელსაც კომპანია იღებს მიმდინარე ოპერაციებიდან, საინვესტიციო წყაროებიდან და ყველა იმ ფულად სახსრებს, რასაც

კომპანია იხდის პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებზე. ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამი ნაწილისგან შედგება, ესენია: საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობა.

კაპიტალის ცნება კი განიმარტება, როგორც სიმდიდრე რომელსაც ფლობს კომპანია ფულადი სახით, აქტივითა თუ არამატერიალური აქტივის სახით. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება აჩვენებს, თუ როგორ იზრდება წლების მანძილზე საკუთარი კაპიტალი. ნაშრომში განხილულია შემოსავლებისა და ვალდებულებების ოდენობა, როგორ ნაწილდება შემოსავლები არსებული ვალდებულებების დასაფარად, რა ტიპის ხარჯები წარმოეშვება კომპანიას, შემოსავლებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ერთმანეთთან დამოკიდებულება , იმისათვის რომ შეფასდეს რამდენად გადახდისუნარიანია კომპანია. ასევე ახდენს თუ არა საწარმო არსებული საკითხების წარდგენას სტანდარტების შესაბამისად.

ნაშრომში წარმოდგენილია სს „ გალტ ენდ თაგარტი“-ს შესახებ ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საკითხების ყველა კომპონენტი და მოცემული მონაცემების მიხედვით გაკეთებულია ანალიზი . კომპანიის შესახებ არსებული ფინანსური ინფორმაციები წარმოდგენილია ცხრილებისა და დიაგრამების საშუალებით, რაც უფრო ნათლად ასახავს კომპანიის ფინანსურ შედეგებს. ასევე წარმოდგენილია რეკომენდაციები და რჩევები გარკვეული საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით, რათა მოხდეს კომპანიის საქმიანობის განვითარება და ხარვეზების აღმოფხვრა.

Annotation

In the stated thesis here are considered the issues of preparation and presentation of financial statements including both theory and practice. The financial statement's preparation contains the financial condition's statement, the profit/loss and the whole revenue statement, the cash flow statement and the equity change statement.

The financial condition's statement is comprised with assets, liabilities and equity, which introduces the enterprise's financial picture by the end of the year. It includes information of common modes, investment property, immaterial assets, investments, inventories, requirements, cash flaws, liabilities and etc. They are divided into non-current and current assets and liabilities.

In the whole revenue statement the term of the revenue includes the revenue and the earnings. The revenue is created in the process of an ordinary functioning of the factory and is known with different names: the revenue from the goods realization, the revenue from the service delivery, percent, dividends, royalty, rent. The revenue contains other articles, which satisfies the definition of the revenue, but possibly can be created or not in the factory functioning process. The other whole revenues are made of those incomes' and costs' elements that are not accepted in the profit or loss. But, in the regard of the costs, accepting of those elements in the profit /loss is conducted according to the economical content or functions.

The cash account presents the financial statement, that provides the issues related to the incomes and outcomes of the cash account receiving the company from the current operations, investing sources and all the cash accounts, which the company pays for the activities done during the period. The cash flow statement includes three parts: operating, financing and investing activities.

The term of the capital is defined as wealth that the company owns in cash, assets and intangible assets. The equity change's statement shows how equity increases over years. In the thesis here is considered the amounts of the incomes and liabilities, the ways explaining how the incomes are shared for covering the liabilities, what kind of costs are formed for the

company, the relationship between the incomes and its costs, in order to assess the solvency of the company. Also, whether the enterprise presents or not the existing issues according to the standards.

In the thesis here is stated JSC GALT & TAGGART's financial statement's presentation's all the components and the analysis is done according to the given figures. The financial information about the company is presented through tables and diagrams, that describes the company's financial results more obviously. Also, here is presented recommendations and advice about studying some issues in order to develop the company's activity and exclude drawbacks.

Issues of preparation and submission of financial statements

Maiko Okujava

შინაარსი

შესავალი ---------- 7

თავი 1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების თეორიული საკითხები

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი და პრინციპები ----------9

1.2 ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და ინფორმაციის მომხმარებლები ----------14

1.3 ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადება ----------26

თავი 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხები

2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება----------56

2.2 სრული შემოსავლის ანგარიშგება----------61

2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება----------69

2.4 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება----------73

დასკვნა ---------- 76

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 83

შესავალი

თემის აქტუალურობა მდგომარეობს იმაში, რომ დღევანდელ გარემოში, როდესაც ასე სწრაფად მიმდინარეობს გლობალიზაცის პროცესი , ბაზარზე მოქმედი სუბიექტები განცალკევებულად ვერ განახორციელებენ თავიანთ საქმიანობას, რადგან საბაზრო სივრცეში მოქმედი მრავალი კომპანიის ფინანსური თუ ეკონომიკური საკითხი მნიშვნელოვნადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს კავშირი თანამედროვე ეკონომიკაში იმდენად მჭიდროა, რომ ნებისმიერ კომპანიაში მომხდარმა ფინანსურმა პრობლემამ ან სხვა ქმედებამ არა თუ ამ კომპანიაში, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით შეიძლება გამოიწვიოს მისი გადაცემა. ამიტომ, მნიშვნელოვანი გახდა აღრიცხვისა და ანგარიშგების მომზადების ერთიანი მეთოდის გამოყენება მთელ მსოფლიოში.

ფინანსური ანგარიშგების მიზანია, მომხმარებლისთვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ფინანსური ინფორმაცია გადაწყვეტილების მიღების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ის იძლევა სრულ სურათს თუ რა ფაზაში იმყოფება საწარმო, რა შესაძლებლობები გააჩნია მას მომავალი წარმატებისა და საქმიანობის განვითარებისთვის, ასევე ნათლად წარმოაჩენს იმ დადებით და უარყოფით ასპექტებს, რომელიც ზემოქმედებს საწარმოს საქმიანობის პროცესებზე. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ კონკურენტულ გარემოს, რომელშიც ფირმებს უწევთ საქმიანობა, აუცილებელია, რომ ფინანსური ინფორმაცია იყოს სრული და საიმედო, აგრეთვე დროულად წარდგენილი.

საწარმოს მიერ ფულადი საშუალებებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობების დასადგენად, მათი დროულობისა და საიმედოობის შესაფასებლად მომხმარებელს გარკვეული ინფორმაცია სჭირდება. სწორეს მსგავსი სახის ინფორმაცია იყრის თავს საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

კვლევის მიზანია, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების განხილვა , რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომპანიებისათვის, სწორად

მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. რისი საშუალებითაც ზუსტად შეიძლება განისაზღვროს კომპანიის შესაძლებლობები. თუ რამდენად სწორად იხარჯება რესურსები, რამდენად მომგებიანია ამა თუ იმ პროდუქტის წარმოება, ზუსტადაა თუ არა დაგეგმილი ბიუჯეტი, რამდენად სწორად ხდება კომპანიის საწარმოო შესაძლებლობების გადანაწილება და დაგეგმვა.

კვლევის საგანს წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საკითხების მომზადებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რადგან საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანაგრიშგება საშუალებას გვაძლევს შევადაროთ კომპანიის მიმდინარე პერიოდის მდგომარეობა, გასულ პერიოდებთან და მოცემული სურათის მიხედვით ზუსტად განვსაზღვროთ და დავგეგმოთ მომავალი პრიორიტეტები. აგრეთვე შესადარისობის პრინციპის გამოყენებით საშუალება გვეძლევა ფირმის ფინანსური მონაცემები შევადაროთ კონკურენტი ორგანიზაციების მონაცემებს და ამის საფუძველზე შევაფასოთ კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეები.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლებია: ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს), ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ფასს), ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები.

ფინანსაური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის კვლევის ობიექტია სს“გალტ ენდ თაგარტი „ რომლის მაგალითზეც პრაქტიკულად არის წარმოდგენილი თეორიული მასალის გამოყენება პრაქტიკულ დონეზე და მოიცავს:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას

ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას

თავი I ფინანსური ანგარიშგების მომზადების თეორიული საკითხები

1.1 ფინანსური ანგარიშგების არსი, მიზანი და პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობის და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ ეკონომიკური გადაწყვეტილებები. გამომდინარე აქედან, ფინანსური ანგარიშგების მიზანია მომხმარებელთა ფართო მასისათვის ინფორმაციის მიწოდება, კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, განხორციელებული ცვლილებების , საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია შემდეგი სახის ინფორმაცია:

- საწარმოს აქტივები
- საწარმოს ვალდებულებები
- საკუთარი კაპიტალი
- შემოსავლები და ხარჯები, მათ შორის შემოსულობა და დანაკარგები
- მესაკუთრეთა შენატანები საკუთარ კაპიტალში და მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე განხორციელებული განაწილებები
- და საწარმოს ფულადი ნაკადები

ეს ინფორმაცია , ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში მოცემულ ინფორმაციასთან ერთად მომხმარებელს საშუალებას აძლევს , წინასწარ განჭვრიტოს საწარმოს ფულადი ნაკადები, კერძოდ მათი რეალურობა და მოძრაობის დრო. [1]

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიზანია - უზრუნველყოს საწარმოს ფასს სტანდარტების შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება და ამ ფინანსური ანგარიშგებით მოცული საანგარიშგებო პერიოდის

[1] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1 , 2018 გვ: 4

ნაწილის შუალედური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მაღალი ხარისხის ინფორმაციას, რომელიც :

ა) გამჭვირვალე იქნება მომხმარებლებისათვის და შესადარისი ყველა წარდგენილი პერიოდის;

ბ) უზრუნველყოფს შესაფერის ამოსავალ ბაზას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით აღრიცხვის საწარმოებლად;

გ) შეიძლება მიღებულ იქნეს ისეთი დანახარჯებით, რომელიც არ აღემატება მომხმარებელთათვის მისაღებ სარგებელს.[2]

საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზანია , არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს , გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორიებს მიაწოდოს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ, რომელიც სასარგებლო იქნება საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ეხება წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვას , გაყიდვას, დატოვებას, სესხების გაცემას ან დაფარვას. რა გადაწყვეტილებას მიიღებენ არსებული და პოტენციური ინვესტორები იმის შესახებ, იყიდონ, გაყიდონ თუ დატოვონ წილობრივი და სავალო ინსტრუმენტები, დამოკიდებულია იმ უკუგებაზე, რომლის მიღებასაც ისინი მოელიან ფინანსურ ინსტრუმენტებში განხორციელებული ინვესტიციიდან.

იმისათვის, რომ მოხდეს საწარმოს პერსპექტივის შეფასება მომავალი წმინდა ფულადი სახსრების შემოსულობების პოზიციიდან, არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს სჭირდებათ ინფორმაცია საწარმოს რესურსების და მის მიერ არსებული მოთხოვნების შესახებ, ასევე იმასთან დაკავშირებით, რამდენად რაციონალურად და ეფექტურად გამოიყენა საწრმომ რესურსები.

ამგვარ ფაქტორებს განეკუთვნება რესურსების დაცვა ეკონომიკური ფაქტორების არახელსაყრელი ზემოქმედებისგან.

მაგალითად:

- ფასებისა და ტექნოლოგიების ცვლილებები

[2]ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1;გვ:1

- მოქმედი კანონმდებლობის დაცვა
- სხვა ნორმატიული აქტები და სახელშეკრულებო დებულებები

გამომდინარე იქედან, რომ კომპანიას არ შეუძლია ანგარიშვალდებულ საწარმოს მოსთხოვოს ინფორმაცია , ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაცია. ამ ინფორმაციის ძირითადი მომხმარებლები არიან სწორედ ზემოაღნიშნული მხარის წარმომადგენლები.

თუმცა ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მთელ ინფორმაციას, რომელსაც საჭიროებენ არსებული და პოტენციური ინვესტორები, გამსესხებლები და სხვა კრედიტორები. მათ ასევე სჭირდებათ მაგალითად ინფორმაცია ეკონომიკური პირობებისა და მოლოდინების, პოლიტიკური მოვლენების, კლიმატის, დარგის და საწარმოს პერსპექტივების შესახებ.

საწარმოს შესახებ ფინანსური ინფორმაცია აინტერესებს ანგარიშვალდებული საწარმოს ხელმძღვანელობასაც, თუმცა არ აქვს აუცილებლობა დაეყრდნოს საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას, რადგან მათ სჭირდებათ ინფორმაცია საწარმოს შიდა წყაროებიდან.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია , ასევე სასარგებლო შეიძლება იყოს მარეგულირებელი ორგანოსა და საზოგადოების წევრებისათვის, რომლებიც არ არიან კრედიტორები , გამსესხებლები და ინვესტორები.

ფინანსური ანგარიშები ეყრდნობა ძირითადად შეფასებებს, მსჯელობასა და მოდელებს. კონცეპტუალური საფუძვლები ადგენს პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ამგვარ შეფასებებს, მსჯელობებსა და მოდელებს. ეს პრინციპები წარმოადგენს მიზანს, რომლისკენაც ისწრაფიან როგორც საბჭო, ისე ფინანსური ანგარიშგების მომმზადებლები. პრინციპები უზრუნველყოფენ ფინანსური ანგარიშგების სარგებლიანობას.[3]

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით, პირველადი სააღრიცხვო მონაცემების დაჯგუფება და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა გარკვეული სისტემით წარმოებს. იგი ხდება ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების საფუძველზე.

[3] ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები; გვ7-8

ბასს-ით ფუნდამენტალურად ითვლება ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი პრინციპები:

- უწყვეტობის პრინციპი
- მუდმივობის პრინციპი
- პირველადი ღირებულების(თვითღირებულების) პრინციპი
- ფულადი შეფასების პრინციპი
- მყარი ფულადი ერთეულების პრინციპი
- რეალიზაციის პრინციპი
- საწარმოს მთლიანობის (ავტონომიურობის) პრინციპი
- ორმხრივობის პრინციპი
- საანგარიშგებო პერიოდის პრინციპი

უწყვეტობის პრინციპით- საწარმო განიხილება, როგორც უწყვეტი პრინციპი, რაც გულისხმობს მომავალში მისი ფუნქციონირების განუსაზღვრელად გაგრძელებას. იგულისხმება, რომ საწარმოს უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს საქმიანობის ლიკვიდაცია ან შეკვეცა. გამომდინარე აქედან, უწყვეტობის პრინციპი დაკავშირებულია ბასს-ის ერთ-ერთ ძირითად დაშვებასთან „ ფუნქციონირებადი საწარმო“, რომელიც ნიშნავს საწარმოს საქმიანობის უსასრულოდ გაგრძელებას, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში მოსალოდნელი არ არის საქმიანობის შეწყვეტა.

მუდმივობის პრინციპით- საწარმოს მიერ მიღებული სააღრიცხვო პოლიტიკით, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დამტკიცებულ პრინციპებს, პროცედურებსა და წესებს, მუდმივად მოქმედებს. ე.ი. ვრცელდება ერთი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მეორე პერიოდზე.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის - თანახმად, ყველა ხარჯი პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება, აქტივის შეძენაზე გაწეული დანახარჯების ჯამი კი თვითღირებულებას წარმოადგენს.

ფულადი შეფასების პრინციპის - თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს ის აქტივები, ვალდებულებები , მოვლენები და ოპერაციები,

რომელთა ფულადი საზომით გამოსახვა, შეფასება შესაძლებელია. სამეურნეო საქმიანობაში მომხდარი ყველა ცვლილება, ბუღალტრულ აღრიცხვაში შეფასების ერთიანი საზომით უნდა აისახოს.

მყარი ფულადი ერთეულის პრინციპის - არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სხვადასხვა პერიოდის მონაცემები სტაბილურ ვალუტაშია გამოსახული და შესაბამისად ეს მონაცემები შესადარისია.

რეალიზაციის პრინციპი - გულისხმობს , რომ საწარმოს მიერ შემოსავლის აღება და ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვა აქტივის მყიდველზე გადაცემის ან მომსახურების გაწევის მომენტში ხდება. ანუ, საქონლის გაყიდვიდან/მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები შემოსავლად აღიარდება და ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება მყიდველზე საკუთრებისა და მასთან დაკავშირებული რისკების გადაცემისას.

საწარმოს მთლიანობის (ავტონომიურობის) პრინციპი - გულისხმობს იმას, რომ საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მხოლოდ სამეურნეო სუბიექტს ეხება და არა მისი დამფუძნებლის ან მესამე მხარის საქმიანობას.

ორმხრივობის პრინციპის - თანახმად, თითოეულ ოპერაციას ორი მხარე აქვს. იგი ერთიდაიგივე ოდენობით იწვევს ცვლილებას საწარმოს აქტივებშიც და მის შესაბამის წყაროებშიც. ამ პრინციპს ემყარება ორმაგი ასახვის მეთოდი და საბალანსო ტოლობა:

აქტივი = ვალდებულებები + საკუთარი კაპიტალი

საანგარიშგებო პერიოდის პრინციპი - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პერიოდულობას გულისხმობს. [4]

ბასს-ით ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი დაშვებაა:

ფუნქციონირებადი საწარმო - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას იგულისხმება, რომ საწარმო ფუნქციონირებს და თავის საქმიანობას განახორციელებს მომავალშიც, ასევე არ აპირებს და არ საჭიროებს ლიკვიდაციას ან საქმიანობის მასშტაბების საგრძნობლად შემცირებას. თუ სავარაუდოა საქმიანობის ლიკვიდაცია,

[4] ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები;2018;გვ:47

ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა გაკეთდეს შესაბამის აღნიშვნა და იგი განსხვავებული წესით მომზადდეს.[5]

1.2 ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები და ინფორმაციის მომხმარებლები

ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებში თავმოყრილია ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის, გამსესხებლებისთვის და სხვა კრედიტორებისთვის ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

ფინანსური ანგარიშები შეიცავს ინფორმაციას ანგარიშვალდებული საწარმოს ეკონომიკური რესურსების, არსებული მოთხოვნების და ისეთი ოპერაციებისა და სხვა მოვლენების გავლენის შესახებ, რომლებიც იწვევს ამ რესურსებისა და მოთხოვნების ცვლილებას. ასევე ზოგიერთი ფინანსური ანგარიში მოიცავს ახსნა-განმარტებით ინფორმაციას ანგარიშვალდებული საწარმოს ხელმძღვანელობის მოლოდინებისა და სტრატეგიების შესახებ და საპროგნოზო ინფორმაციას.

ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები ეხება, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციას, ასევე სხვა ფორმით წარმოდგენილ ინფორმაციასაც. ამ ინფორმაციასთან ასევე დაკავშირებულია დანახარჯები, რაც წარმოადგენს შეზღუდვას ანგარიშვალდებული საწარმოს შესაძლებლობების.

იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო იყოს, ის უნდა იყოს შესაბამისი და სამართლიანად წარმოაჩენდეს იმას, რისი ასახვისთვისაც არის განკუთვნილი.

ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლებია:

---

[5] ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურიო საფუძვლები;გვ:21

შესაბამისობა და

სამართლიანი წარდგენა

შესაბამის - ფინანსურ ინფორმაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს მომხმარებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ინფორმაციას იმ შემთხვევაშიც შეუძლია გავლენის მოხდენა თუ მომხმარებელი გადაწყვეტს არ გამოიყენოს ის ან არსებული ინფორმაცია უკვე ცნობილია მისთვის სხვა წყაროებიდან. ასევე, იმ შემთხვევაშიც თუ მას გააჩნია საპროგნოზო ან დამადასტურებელი თვისება, ან ორივე ერთად.

ფინანსურ ინფორმაციას გააჩნია საპროგნოზო თვისება თუ მისი გამოყენება შესაძლებელია ამოსავალ ბაზად იმ პროცესებში, რომლებსაც მომხმარებლები იყენებენ მომავალი შედეგების პროგნოზირებისთვის.

ფინანსურ ინფორმაციას ასევე გააჩნია შესადარისობის თვისება თუ ის უზრუნველყოფს მტკიცებულებებს (ადასტურებს) ადრე გაკეთებულ შეფასებებზე.

ფინანსური ინფორმაციის საპროგნოზო და დამადასტურებელი თვისებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ამიტომ ინფორმაციას, რომელსაც გააჩნია საპროგნოზო თვისება, ხშირად გააჩნია დამადასტურებელი თვისებაც.

არსებითია ინფორმაცია თუ მისი გამოტოვება ან დამახინჯება გავლენას მოახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებებზე, რომელიც მიიღება ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე. არსებითობა წარმოადგენს საწარმოს სპეციფიკურ ასპექტს, რომელიც გამომდინარეობს იმ ელემენტების ხასიათიდან, რომელსაც ეხება მოცემული ინფორმაცია . მაშასადამე საბჭოს არ შეუძლია არსებითობისთვის დაადგინოს ერთიანი რაოდენობრივი ზღვარი თუ რა შეიძლება იყოს არსებითი რომელიმე კონკრეტულ სიტუაციაში.

სამართლიანი წარდგენა - ფინანსური ინფორმაცია სასარგებლო რომ იყოს ის ასევე სამართლიანად უნდა წარმოადგენდეს იმ მოვლენებს, რომლის ასახვისთვისაც არის

განკუთვნილი. ინფორმაციას სამართლიანი ასახვისთვის უნდა გააჩნდეს სამი მახასიათებელი, ესენია:

- სრულყოფილი
- ნეიტრალური
- არ უნდა შეიცავდეს შეცდომებს

ფასს სტანდარტების მომზადებასთან დაკავშირებით საბჭოს მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ მაქსიმალურად აამაღლოს ინფორმაციის ზემოაღნიშნული თვისებები.

სრულყოფილი ასახვა გულისხმობს ყველანაირი ინფორმაციის მიწოდებას, აუცილებელი აღწერილობისა და განმარტების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რომ მომხმარებელმა ნათელი წარმოდგენა შეიქმნას იმ ეკონომიკური მოვლენის შესახებ , რომელიც უნდა ასახოს ამ ინფორმაციამ.

მაგალითად:

ჯგუფის აქტივების სრულყოფილი ასახვა გულისხმობს აქტივის ხასიათის აღწერას, რაოდენობრივ გამოსახვას, ასევე იმის განმარტებას თუ რას ასახავს მოცემული ციფრობრივი მონაცემები (პირვანდელი ღირებულებაა, ციფრობრივი თუ რეალური).

ნეიტრალური ასახვა გულისხმობს - ინფორმაციის წარდგენას მიუკერძოებლად. ის არ გულისხმობს ტენდენციურობას, ორიენტაციას იმაზე, რომ მომხმარებლის ყურადღება მიმართოს რომელიმე მიმართულებით, ყურადღება გაამახვილოს წინასწარ გამიზნულად რაიმეზე ან პირიქით, შეასუსტოს ყურადღება. ასევე სხვა გზით მოახდინოს ზემოქმედება მომხმარებლის მოსაზრებებზე, რათა გაზარდოს იმის ალბათობა, რომ ფინანსურ ინფორმაციას მომხმარებლები მიიჩნევენ ხელსაყრელად ან არახელსაყრელად.

ნეიტრალური ინფორმაცია არ ასახავს ისეთ ინფორმაციას, რომელსაც არ გააჩნია მიზანი, ან არანაირ ზეგავლენას ახდენს მომხმარებლის ქცევაზე.

სამართლიანი წარდგენა არ გულისხმობს სიზუსტეს ყველა ასპექტში. შეცდომის არარსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკური მოვლენების აღწერაში საერთოდ არ იქნება შეცდომები ან რაიმე არ იქნება გამოტოვებული. ამ თვალსაზრისით, შეცდომების არარსებობა არ ნიშნავს აბსოლუტურ სიზუსტეს ყველა ასპექტში.

მაგალითად:

დაუშველებია არადაკვირვებადი ფასის ან ღირებულების შეფასების მიკუთვნება ზუსტი ან არაზუსტი ინფორმაციის კატეგორიაში. თუმცა ამგვარი შეფასების წარდგენა შეიძლება სამართლიანი იყოს თუ თანხა ზუსტად და ნათლად იქნება დახასიათებული, როგორც შეფასების მნიშვნელობა, ახსნილი იქნება შეფასების პროცესის ხასიათი და დამახასიათებელი შეზღუდვები და შეცდომები დაშვებული არ იყო შეფასებითი მნიშვნელობის დასადგენად სათანადო პროცესის შერჩევასა და გამოყენებაში.

ინფორმაციის მიმართ ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლების გამოყენების გათვალისწინების ყველაზე რაციონალური და ეფექტური პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება:

პირველი - დადგინდება ისეთი ეკონომიკური მოვლენები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება სასარგებლო იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლებისთვის.

მეორე - განისაზღვრება ამ ეკონომიკური მოვლენების შესახებ რა სახის ინფორმაცია იქნებოდა ყველაზე შესაბამისი, თუ ის იარსებებდა და შესაძლებელი იქნებოდა მისი სამართლიანი წარდგენა.

მესამე - დადგინდება არსებობს თუ არა ეს ინფორმაცია და თუ ასეა, ამ ეტაპზე დასრულდება ძირითად ხარისხობრივ მახასიათებლებთან ინფორმაციის შესაბამისობის უზრუნველყოფის პროცესი. სხვა შემთხვევაში პროცესი განმეორდება.

ხარისხობრივი მახასიათებლები , რომლებიც ამაღლებს ინფორმაციის სარგებლიანობას არის :

- შესადარისობა
- შემოწმებადობა
- დროულობა
- აღქმადობა
- საიმედოობა

ეს ის კომპონენტებია , რომლებიც ამაღლებს შესაბამისი და სამართლიანად წარდგენილი ინფორმაციის სარგებლიანობას, ისინი ასევე გვეხმარება იმის დადგენაში თუ რომელი მეთოდი უნდა გამოვიყენოთ ამა თუ იმ ეკონომიკური მოვლენის ასახვისთვის.

შესადარისობა - ინფორმაციის ისეთი ხარისხობრივი მახასიათებელია, რომელიც მომხმარებლებს განსახილველ ელემენტებს შორის მსგავსებისა და განსხვავების დადგენის და გააზრების საშუალებას აძლევს. სხვა ხარისხობრივი მახასიათებლებისგან განსხვავებით შესადარისობის ცნება დაკავშირებული არ არის რომელიმე ელემენტთან. შედარებისთვის საჭიროა სულ მცირე ორი მუხლი.

მაგალითად:

ინვესტიცია უნდა გაყიდოს თუ შეინარჩუნოს ან განახორციელოს ინვესტიცია რომელიმე ერთ ანგარიშვალდებულ საწარმოში. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ უფრო სასარგებლოა თუ შესაძლებელია მისი შედარება სხვა საწარმოს შესახებ არსებულ ანალოგიურ ინფორმაციასთან.

იმისათვის, რომ ფინანსური ინფორმაცია შესადარისი იყოს, მსგავსი საგნები ერთნაირად უნდა გამოიყურებოდეს, ხოლო განსხვავებული განსხვავებულად.

ფინანსური ინფორმაციის შესადარისობა არ ამაღლდება თუ განსხვავებული საგნები წარმოდგენილი იქნება მსგავსად ან პირიქით, მსგავსი განსხვავებულად.

შემოწმებადობა - ეს არის ინფორმაციის შემოწმების შესაძლებლობა, რომელიც მომხმარებელს ეხმარება დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია სამართლიანად ასახავს იმ ეკონომიკურ მოვლენას, რომლის ასახვისთვისაცაა განკუთვნილი.

შემოწმებადობა ნიშნავს , რომ ინფორმირებული დამკვირვებელი შეძლებს გამოიტანოს ერთი და იმავე აზრი, თუმცა არაა აუცილებელი სრულ თანხმობას მიაღწიონ იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმავია სამართლიანადაა წარდგენილი.

შემოწმებადობა შეიძლება იყოს **პირდაპირი** ან **არაპირდაპირი**

პირდაპირი შემოწმებადობა - ნიშნავს, რომ რიცხობრივი მონაცემების ან სხვა ინფორმაციის შემოწმება შესაძლებელია უშუალო დაკვირვების გზით. მაგალითად: თანხის დამტკიცება ფულადი სახსრების დათვლით.

არაპირდაპირი შემოწმებადობა - ნიშნავს მოდელის ამოსავალი მონაცემების, ფორმულებისა და მოდელის სხვა შემადგენელი ელემენტების შემოწმებას და მიღებული შედეგების იმავე მეთოდიკით ხელახლა დამოუკიდებლად დათვლას. მაგალითად: მარაგის საბალანსო ღირებულების შემოწმება ამოსავალი მონაცემების შემოწმებით და მარაგის საბოლოო ნაშთის ხელახლა დათვლა ღირებულებების მოძრაობის შესახებ იმავე დაშვების გამოყენებით.

ზოგიერთი განმარტებით მასალისა და საპროგნოზო ინფორმაციის შემოწმება შეიძლება შესაძლებელი იყოს მხოლოდ მომავალ პერიოდში ან საერთოდ შეუძლებელი იყოს. იმისათვის, რომ მომხმარებლებმა შეძლონ იმის გადაწყვეტა , სურთ თუ არა ამგვარი ინფორმაციის გამოყენება, აუცილებელია გამოყენებული ძირითადი დაშვებების განმარტება ფინანსურ ანგარიშგებაში, მომხმარებლებისთვის ინფორმაციის მიწოდება ზემოაღნიშნული ინფორმაციის შეგროვების მეთოდებისა და სხვა ფაქტორებისა თუ გარემოებების შესახებ, რომლებიც ასაბუთებს ამ ინფორმაციას.

დროულობა - ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ინფორმაცია ხელთ ჰქონდეთ იმ დროს , როდესაც მას შეუძლია გავლენა მოახდინოს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. როგორც წესი ინფორმაცია რაც უფრო ძველია, მით უფრო ნაკლებად გამოყენებადია ისინი გადაწყვეტილებების მისაღებად. თუმცა ზოგიერთი ინფორმაცია შესაძლოა სასარგებლო აღმოჩნდეს , მაგალითად იმ დროს თუ მომხმარებელს აინტერესებს ტენდენციების დადგენა და შეფასება.

აღქმადობა - ინფორმაციის კლასიფიცირება, სისტემატიზაცია და ნათლად და ლაკონურად წარმოდგენა მას უფრო აღქმად და გასაგებს ხდის მომხმარებელბისათვის.

საიმედოობა - ეს კომპონენტი ასევე წარმოადგენს ინფორმაციის სარგებლიანობის აუცილებელ პირობას. ინფორმაცია საიმედოა თუ იგი არ შეიცავს არსებით შეცდომებს და არის ტენდენციური. ის ითვლება საიმედოდ თუ ისეთ შეცდომებსა და მიკერძოებულ შეფასებებს არ შეიცავს, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მომხმარებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. არ ახდენს სამეურნეო საქმიანობის კლასიფიკაციას.

ინფორმაცია შეიძლება შესაბამისი, მაგრამ არასაიმედო იყოს. ასეთმა ინფორმაციამ შეიძლება მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს.

ინფორმაციის საიმედოობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს შემდეგმა ფაქტორებმა:

- სამართლიანი წარდგენა
- შინაარსის ფორმაზე აღმატებული
- ნეიტრალობა
- წინდახედულება
- სისრულე

სამართლიანი წარდგენა - როგორც ადრე აღვნიშნეთ გულისხმობს, რომ ფინანსური ანგარიშგებები უტყუარი უნდა იყოს და სამართლიანად წარმოადგენდეს

საწარმოს რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას. ის ასევე მოიცავს ინფორმაციის დროულ წარდგენას.

შინაარსის ფორმაზე აღმატებული - გულისხმობს, რომ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია განიხილება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით მაშინაც კი, თუ მისი იურიდიული ფორმა სხვას ითვალისწინებს. შემოწმების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღრიცხვის სწორად შერჩეული და გამოყენებული მეთოდით, რათა საწარმოს საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადეკვატურად იქნას ასახული. თუ მესამე პირი, ფინანსური დოკუმენტის შესწავლის შედეგად ანგარიშგებაში ასახულისაგან განსხვავებულ შედეგს მიიღებს, ითვლება, რომ ანგარიშგება ვერ აკმაყოფილებს შემოწმებადობის კრიტერიუმს.

ნეიტრალობა - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნად ითვლება. ფინანსურ ინფორმაციაში ასახული ინფორმაცია საიმედოა მაშინ თუ იგი ნეიტრალურია. იგულისხმება, რომ ფინანსურ ინფორმაციაში შეტანილი ინფორმაცია უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი მომხმარებელთა ყველა ჯგუფისათვის.

წინდახედულება - გადაწყვეტილების მიღებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას გულისხმობს. იგი შეიძლება წარმოადგენდეს საწარმოს გაძღოლის ტაქტიკას შესაძლო რისკების პირობებში და ითვალისწინებდეს ასევე ყველა ფაქტორის აღრიცხვას, რომელმაც შეიძლება საწარმოს ქონებრივ და ფინანსურ მდგომარეობაზე იქონიოს გავლენა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის განუსაზღვრელი გარემოებები, რომლებიც საწარმოს საქმიანობაში მომხდარ ოპერაციებსა და მოვლენებს თან ახლავს. ასევე გასათვალისწინებელია, რომ აქტივი გადაჭარბებული ოდენობით და ხარჯები და ვალდებულებები შემცირებულად არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ბასს სტანდარტებით აქტივის ზრდის აღიარება უნდა მოხდეს, როდესაც იგი სრულად განსაზღვრული მოვლენაა, ხოლო შემცირების აღიარება, როდესაც იგი შესაძლებელი მოვლენაა.

სისრულე - ინფორმაციის საიმედოობის ერთ-ერთი პირობაა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია , არსებითობისა და ღირებულების თვალსაზრისით სრული უნდა იყოს. ინფორმაციის გამოტოვებამ შეიძლება საიმედოობისა და ინფორმაციის შესაბამისობის ხარისხის დაწევა გამოიწვიოს.

ფინანსური ანგარიშგება მზადდება ისეთი მომხმარებლებისთვის, რომლებსაც გააჩნიათ ბიზნესისა და ეკონომიკური საქმიანობის შესახებ საკმარისი ცოდნა და ამ ინფორმაციას შეისწავლიან და აანალიზებენ. თუმცა კონსულტაცია მათაც სჭირდებათ.[6]

ყოველდღიურ საქმიანობაში ბევრ პიროვნებას უხდება სააღრიცხვო ინფორმაციის გამოყენება. აქედან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონდეთ ამ ინფორმაციის ინტერპრეტაციის შესაძლებლობა. მომარაგებისა და გასაღების პროცედურების უმრავლესობა ბუღალტრული აღრიცხვით შეიძლება დადგინდეს. ყოველთვის საჭიროა გარიგებების შედეგად ამონაგები და დახარჯული ფულადი თანხების დაფიქსირება, რომელიც ასევე, ბუღალტრულ აღრიცხვაში ხდება. აღრიცხვის სისტემა აუცილებელია, რათა საწარმოს ცალკეული სტრუქტურული ქვედანაყოფის თანამშრომლებმა იცოდნენ, რამდენად წარმატებულად ფუნქციონირებს მათი განყოფილება და საწარმო .

საწარმოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციით დაინტერესებული მხარეები, ანუ ინფორმაციის მომხმარებლები შეიძლება იყვნენ:

- ინვესტორები (არსებული და პოტენციური),

- დაქირავებული მუშაკები,

- კრედიტის გამცემები (არსებული და პოტენციური),

- მიმწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები,

- მომხმარებლები,

[6] ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები;გვ:12-19

- მთავრობები და მათი უწყებები,

- საზოგადოება.

ინფორმაციის მომხმარებლები პირობითად შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

- შიდა მომხმარებლები
- გარე მომხმარებლები

შიდა მომხმარებლები _ საწარმოს სამმართველო პერსონალია, რომელიც სააღრიცხვო ინფორმაციის ბაზაზე ღებულობს სხვადასხვა საწარმოო და ფინანსური ხასიათის გადაწყვეტილებებს. ამგვარს მიეკუთვნება: მომდევნო წლისათვის ფინანსური გეგმის შედგენა, რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრა, მისი შეცვლა, საწარმოს რესურსების ინვესტირების მიმართულების განსაზღვრა, კრედიტების მოზიდვის მიზანშეწონილობის დადგენა და სხვა. სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად დროული, სრული და ზუსტი ინფორმაცია აუცილებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში საწარმომ შეიძლება განიცადოს ზარალი ან გაკოტრდეს .

შიდა მომხმარებლები უშუალოდ დაინტერესებულნი არიან საწარმოს საქმიანობით. მათ მიეკუთვნებიან:

საწარმოს აქტივების მფლობელები _ აქციონერები, დამფუძნებლები, რომელთათვისაც აუცილებელია განისაზღვროს საწარმოს საკუთარი კაპიტალის წილის ზრდის ან შემცირების მიზანშეწონილობა და საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ რესურსების გამოყენების ეფექტურობა; ინვესტორები, სარისკო კაპიტალის მომწოდებლები და მათი მრჩევლები ზრუნავენ რისკზე, რომელიც თან ახლავს ინვესტიციებს და ინვესტიციებიდან მიღებულ ამონაგებს. მათ სჭირდებათ ინფორმაცია იმისათვის, რომ განსაზღვრონ: გაყიდონ, დაიტოვონ თუ იყიდონ ფასიანი ქაღალდები. აქციონერები, აგრეთვე, დაინტერესებულნი არიან შეაფასონ საწარმოს უნარი გადაიხადოს დივიდენდები.

კრედიტორები, საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან გაცემული სესხებისა და შესაბამისი სარგებლის დროული დაბრუნებით, ინფორმაციას იყენებენ კრედიტების გამოყოფის მიზანშეწონილობის, დაკრედიტების პირობების, კრედიტების დაბრუნების გარანტიების, საწარმოს, როგორც კლიენტის, ნდობის შეფასების განსაზღვრისათვის;

მომწოდებლები, რომლებიც ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავენ მოცემულ დამკვეთებთან საქმიანი კავშირების საიმედოობას; მომწოდებლები და სხვა სავაჭრო კრედიტორები დაინტერესებულნი არიან ინფორმაციით, რომელიც საშუალებას მისცემს მათ განსაზღვრონ დროულად მიიღებენ თუ არა კუთვნილ თანხებს. სავაჭრო კრედიტორებს, როგორც წესი, საწარმო აინტერესებთ შედარებით ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში, ვიდრე კრედიტის გამცემებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი დამოკიდებული არიან საწარმოზე, როგორც მთავარ მომხმარებელზე.

მყიდველები, მომხმარებლები დაინტერესებულნი არიან საწარმოს ფუნქციონირების უწყვეტობით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც მათ საწარმოსთან აქვთ ხანგრძლივი ურთიერთკავშირი ან დამოკიდებული არიან მასზე.

დაქირავებული მომუშავეები და მათი წარმომადგენელთა ჯგუფები დაინტერესებულნი არიან თავიანთი დამქირავებლის ფინანსური სტაბილურობითა და მომგებიანობით. აგრეთვე, საწარმოს ისეთი შესაძლებლობებით, როგორიცაა: შრომის ანაზღაურებისა და პენსიის გადახდა, დასაქმების შესაძლებლობა, ხელფასის დონე და მოცემულ საწარმოში მუშაობის პერსპექტივა;

მთავრობები და მათი უწყებები ,რომლებიც ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციას იყენებენ საწარმოს საქმიანობის სტაბილურობის დადგენის, მისი შემოსავლების განსაზღვრის და რესურსების განაწილების, საწარმოს საქმიანობისა და საგადასახადო პოლიტიკის რეგულირების მიზნით. სახელმწიფო საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელი ორგანოები ამოწმებენ გადასახადების გაანგარიშების სისწორეს, აანალიზებენ მთავრობის საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობას.

მეორე ჯგუფს მიეკუთვნებიან ინფორმაციის **გარე მომხმარებლები,** რომლებიც წარმოების საქმიანობით უშუალოდ არ არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ინფორმაცია

მათთვის აუცილებელია, რათა დაიცვან მომხმარებელთა პირველი ჯგუფის ინტერესები. მათ მიეკუთვნებიან:

- აუდიტორული ფირმები, რომლებიც ამოწმებენ სააღრიცხვო მონაცემების შესაბამისობას არსებულ სტანდარტებთან;
- ფასიანი ქაღალდების ბირჟები, რომლებიც აფასებენ ინფორმაციას შესაბამისი საწარმოების რეგისტრაციისას, ღებულობენ გადაწყვეტილებებს საწარმოს ცალკეულ საკითხებზე; აფასებენ აგრეთვე, აღრიცხვის წარმოებისა და ანგარიშგების მომზადების გამოყენებულ მეთოდებს.
- საფინანსო და სტატისტიკური ორგანოები, რომლებიც განაზოგადებენ საწარმოების საანგარიშგებო მონაცემებს;
- პროფკავშირები, დაინტერესებულნი არიან იმ ინფორმაციით, რომლითაც ხდება თანამშრომელთა ხელფასებისადმი თავიანთი მოთხოვნების დასაბუთება და შრომითი ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა, აგრეთვე, იმ დარგის განვითარების ტენდენციების შეფასება, რომელსაც მოცემული საწარმო მიეკუთვნება;
- პრესა, საინფორმაციო სააგენტოები, რომლებიც ინფორმაციას იყენებენ ცალკეულ საწარმოთა საქმიანობის ანალიზისა და განმაზოგადებელი ფინანსური მაჩვენებლების გაანგარიშებისათვის.
- საზოგადოება, რომელსაც აინტერესებს ინფორმაცია საწარმოს როლისა და ადგილის შესახებ ეროვნულ ეკონომიკაში, რათა გადაწყვიტოს მოსახლეობის დასაქმების, ეკოლოგიური და სოციალური საკითხები. ფინანსური ანგარიშგების ინფორმაცია საზოგადოებას ეხმარება საწარმოს განვითარების მიმართულებებისა და კანონზომიერებათა დადგენაში.

ფინანსური ანგარიშგებების ტრადიციულ მომხმარებლებად გარე მომხმარებლები ითვლებიან, ანალიზური ანგარიშგებები გამოიყენება საწარმოს ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის მიერ. ამ უკანასკნელის შინაარსი შეიძლება იცვლებოდეს მათი მიზნობრივი დანიშნულებისა და ხელმძღვანელის (ადმინისტრატორის) მოთხოვნების შესაბამისად. მაგალითისათვის შეიძლება გამოდგეს:

ანგარიშები გაწეულ დანახარჯებზე, ანგარიშები პროდუქციის თვითღირებულებაზე, საწარმოს ქვედანაყოფების მიმდინარე ოპერატიული ანგარიშები, ხარჯთაღრიცხვები მომავალი ოპერაციების დაგეგმვისათვის და სხვა.[7]

1.3 ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის მომზადების მეთოდიკა

ფინანსური აღრიცხვა - განიმარტება, როგორც პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების ჩაწერის, შეჯამებისა და ანგარიშგების პროცესი, ეს ოპერაციები შეჯამებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში, მათ შორის ბალანსი, შემოსავლების ანგარიშგება და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ფინანსურ ანგარიშგებაში ფინასური ინფორმაცია წარმოდგენილია ხუთი კლასიფიკაციის მიხედვით: შემოსავლები, ხარჯები, აქტივი, ვალდებულება და კაპიტალი.

ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების თანახმად, მნიშვნელოვანია მომზადდეს დარიცხვის მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის, ვალდებულების და საკუთარი კაპიტალის აღიარებას იმ მომენტში როდესაც ის ფაქტობრივად ხორციელდება.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ასევე საწარმოს ფუნქციონირებადობა, სამართლიანი წარდგენა და წარდგენის უცვლელობა. სამართლიანი წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციების, მოვლენების და გარემოებების კეთილსინდისიერად ასახვას ფინანსური ანგარიშგების ელემენტების განმარტებებისა და აღიარების კრიტერიუმების შესაბამისად. რაც შეეხება უცვლელობას, საწარმომ ანგარიშგებაში მუხლების კლასიფიკაცია და წარდგენის ფორმა უნდა შეინარჩუნოს ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში , ანუ წარდგენა უნდა იყოს უცვლელი. ხოლო ფუნქციონირებადობა გულისხმობს საქმიანობის გაგრძელების

[7] იხილეთ სტატია:ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები; შპს “Audt Consulting Group”

უნარს ანუ მმართველობას განზრახული არ აქვს საწარმოს ლიკვიდაცია, შეწყვეტა და არ არის იძულებული რომ ასე მოიქცეს.

საერთო ჯამში საწარმოს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ძირითადი პრინციპებია :

დარიცხვის მეთოდი

სამართლიანი წარდგება

ფუნქციონირებადი საწარმო

წარდგენის უცვლელობა

წარდგენის პერიოდულობა

ფინანსური ანგარიშგება განკუთვნილია საერთო ხასიათის ფინანსურ ინფორმაციაზე მომხმარებელთა ფართო ფენების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ფინანსური ანგარიშგების მიზანია -საწარმოს ფინანსური მდგომარეობის , საქმიანობის შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს და დაეხმაროს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში ამ ინფორმაციით დაინტერესებულ მომხმარებლებს.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოიცავს შემდეგი საკითხების მომზადებას:

ბალანსი

მოგება/ზარალი

შემოსავლების ანგარიშგება

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება, რომლის მიზანი მომხმარებლებისათვის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგებისა და ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაა, არის საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მის მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციების სტრუქტურულად ჩამოყალიბებული ფინანსური სურათი. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებას აძლევს.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მომხმარებლებისათვის წარდგენა საწარმოს ხელმძღვანელობას ევალება.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია:

- ბალანსი;

- ანგარიშგება მოგებისა და ზარალის შესახებ;

- სხვა ანგარიშგებები, მაგალითად, ანგარიშგება საკუთარი კაპიტალის მოძრაობის შესახებ;

- ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ;

- სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია დაჯგუფებულია მათი ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. ამგვარ დაჯგუფებას **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებს** უწოდებენ.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

აქტივები;

ვალდებულებები;

საკუთარი კაპიტალი;

შემოსავლები;

ხარჯები;

აქედან პირველი სამი ელემენტი, რომელიც საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების საშუალებას იძლევა, ბუღალტრულ ბალანსში აისახება. მაშასადამე, **აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი** ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასება სწორედ ბუღალტრული ბალანსის საფუძველზე ხდება.

აქტივი - არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური ან არამატერიალური რესურსი, რომელიც წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგია და რის საფუძველზეც საწარმო მოელის მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

ვალდებულება - საწარმოს მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიშვა წარსული სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომლის შესრულება გულისხმობს საწარმოს ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლას საწარმოდან.

საკუთარი კაპიტალი - არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების დაფარვის შემდეგ.

მოგებისა და ზარალის შესახებ ანგარიშგების ელემენტებს **შემოსავლები და ხარჯები** წარმოადგენენ. ისინი ასახავენ სამეურნეო საქმიანობაში მომხდარ ოპერაციებსა და მოვლენებს, რომლებმაც დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში გავლენა იქონიეს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე და აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის ცვლილებები განაპირობეს. საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლებისა და ხარჯების ერთმანეთთან დაპირისპირება საწარმოს საქმიანობის ფინანსური შედეგის

განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რომელიც **მოგების ან ზარალის** სახით წარმოგვიდგება.

შემოსავალი არის საწარმოს მიერ ეკონომიკური სარგებლის ზრდა საანგარიშგებო პერიოდში აქტივების ზრდის ან ვალდებულებების შემცირების გზით, რაც საწარმოს საკუთარი კაპიტალის გადიდებით გამოიხატება, რომელიც დაკავშირებული არაა საკუთარი კაპიტალის მფლობელთა დამატებით შენატანებთან.

შემოსავლები საწარმომ შეიძლება მიიღოს პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების სახით, რომლებიც საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებს წარმოადგენს. ფინანსური ან საინვესტიციო საქმიანობიდან _ მიღებული დივიდენდებისა და პროცენტების, ძირითადი საშუალებების გაყიდვით მიღებული შემოსავლების სახით.

ხარჯები - არის საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით გამოიხატება, რომელიც მფლობელებზე კაპიტალის განაწილებასთან არაა დაკავშირებული.

მსგავსად შემოსავლებისა, ხარჯებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს საწარმოს ძირითად საქმიანობასთან, მაგალითად, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები;

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, მომხმარებლისათვის უფრო გასაგები და სასარგებლო რომ იყოს, მისი ელემენტები, როგორც ბუღალტრულ ბალანსში, ასევე ანგარიშგებაში მოგებისა და ზარალის შესახებ, დაჯგუფებულადაა წარმოდგენილი.

ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლების ასახვას, რომლებიც აკმაყოფილებენ მოცემული ელემენტის განმარტებას, აღიარება ეწოდება. აღიარება გულისხმობს მოცემული მუხლის სიტყვიერ და თანხობრივ ასახვას ბუღალტრულ ბალანსში ან მოგებისა და

ზარალის ანგარიშგებაში. მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტის ცნებას, აღიარდება და მასში აისახება, თუ:

- შესაძლებელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა
- მუხლს გააჩნია საიმედოდ შეფასებული რიცხობრივი მნიშვნელობა.

შეფასება არის ფულადი განზომილების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება საწარმოს ბალანსსა და მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ბასს ითვალისწინებს ფინანსური ანგარიშგების ელემენტების შეფასების შემდეგ მეთოდებს:

პირვანდელი ღირებულება - ამ დროს აქტივები ფასდება მათი შეძენისა და წარმოებისას გადახდილი თანხით. ვალდებულებები აისახება იმ აქტივის თანხით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ.

მიმდინარე ღირებულებით - აქტივები შეფასდება და ანგარიშგებაში აისახება იმ თანხით, რომელიც საჭირო იქნებოდა საწარმოსათვის შეფასების მომენტისათვის მისი ან ანალოგიური სახის აქტივის შესაძენად. ვალდებულებები აისახება ფულადი საშუალებების არადისკონტირებული თანხით, რომელიც საჭიროა მიმდინარე პერიოდში მის დასაფარად.

სარეალიზაციო ღირებულებით - აქტივები აღირიცხება იმ თანხით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნას ამ აქტივების მიმდინარე პერიოდში გაყიდვით. ვალდებულებები აღირიცხება არადისკონტირებული თანხით, რომელიც მის დასაფარად უნდა იქნას გადახდილი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დისკონტირებული ღირებულებით - აქტივები აღირიცხება არსებული დისკონტირებული ღირებულების თანხით, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მომავალში შემოსასვლელი წმინდა ფულადი საშუალებების ტოლია.

ვალდებულებები აღირიცხება არსებული დისკონტირებული თანხით, რომელიც მათ დასაფარადაა საჭირო ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

ბასს ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად აღიარებს პირვანდელ ღირებულებას, რომელიც შედარებით სწორად ასახავს აქტივების და პასივების მდგომარეობას.

აქტივები სამეურნეო სუბიექტის ეკონომიკურ რესურსებს წარმოადგენენ, რომლებიც მისი საკუთრებაა, მის განკარგულებაშია ან მის მიერ კონტროლირებადია, გააჩნია ღირებულება და გამოიყენება სამეურნეო საქმიანობის პროცესში შემოსავლის მისაღებად.

აქტივებს მიეკუთვნება:

- მიწა
- შენობა- ნაგებობები
- მანქანა-დანადგარები
- პატენტები
- ლიცენზიები
- ფასიანი ქაღალდები
- მასალები
- მზა პროდუქცია
- საქონელი
- ფულადი საშუალებები
- მოთხოვნები და ა.შ.

ბალანსი ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ერთ-ერთი ელემენტია, რომელიც დროის განსაზღვრული მომენტისათვის განზოგადებულად, ფულადი საზომით ასახავს საწარმოს აქტივებს, ვალდებულებებსა და კაპიტალს. ზოგადად, ბალანსი საწარმოს ფინანსურ პოზიციებს ასახავს, დროის განსაზღვრული მომენტისათვის, გამოხატულს ფულადი ფორმით.

ბუღალტრული ბალანსის მომზადება ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის - **ფულადი შეფასების** პრინციპის საფუძველზე ხდება. ამ პრინციპის გათვალისწინებით, ბალანსში აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი ეროვნულ ვალუტით აისახება.

ბუღალტრული ბალანსი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის მზადდება.

ბალანსში საწარმოს აქტივები და მათი ფორმირების წყაროები ბუღალტრული აღრიცხვის ერთ ერთი ძირითადი პრინციპის - **ორმხრივობის** პრინციპის საფუძველზე აისახება. აქედან გამომდინარე, ბუღალტრულ ბალანსს ორი მხარე აქვს. ერთ მხარეს აქტივები აისახება, ხოლო მეორე მხარეს - ვალდებულებები და კაპიტალი. ბალანსში აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის თითოეულ დასახელებას ბალანსის მუხლი ეწოდება.

აქტივები ბუღალტრულ ბალანსში გრძელვადიან და მოკლევადიან (მიმდინარე) აქტივებად ჯგუფდება. გრძელვადიანი აქტივები ბალანსში მატერიალური, არამატერიალური და ფინანსური აქტივების სახითაა წარმოდგენილი.

გრძელვადიანი მატერიალური აქტივებია ძირითადი საშუალებები, რომელიც ბალანსში ან ზოგადი სახელწოდებით, ან გამსხვილებული ჯგუფების, მიწა, შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. აისახება.

ძირითადი საშუალებების მსგავსად, ზოგადი სახელწოდებით, ან გამსხვილებული ჯგუფების მიხედვით აისახება ბალანსში არამატერიალური აქტივები. ასეთი ჯგუფები შეიძლება იყოს: ლიცენზიები, კონცესიები, პატენტები, გუდვილი და ა.შ.

მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები ბალანსში აისახება სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების, მოთხოვნების, ფულადი საშუალებებისა და მათი ექვივალენტების სახით.

აქტივების მსგავსად, ვალდებულებებიც ბუღალტრულ ბალანსში გრძელვადიან და მოკლევადიან ვალდებულებებად ჯგუფდება. გრძელვადიან ვალდებულებებს გრძელვადიანი სესხები და სხვა კრედიტები მიეკუთვნება.

მოკლევადიანი ვალდებულებებია: მოკლევადიანი სესხები, სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები, საგადასახადო ვალდებულებები და ა.შ..

საკუთარი კაპიტალის ბალანსში ასახვა თავისებურებით ხასიათდება და იგი საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზეა დამოკიდებული. კაპიტალი ბუღალტრულ ბალანსში შეიძლება შემდეგი მუხლებით იყოს წარმოდგენილი: საწესდებო კაპიტალი, ან სააქციო კაპიტალი, გაუნაწილებელი (რეინვესტირებული) მოგება, სარეზერვო კაპიტალი.

ბალანსში მუხლები ლიკვიდურობის პრინციპით ჯგუფდება. ლიკვიდურობა ფულად გადაქცევის სისწრაფეს, უნარს ნიშნავს. ბასს-ით ბალანსში მუხლები შეიძლება განთავსდეს ლიკვიდურობის ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით. ორივემიდგომა დასაშვებია და არ იზღუდება. [8]

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის განყოფილებების გარდა, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი მუხლები : მოგება ან ზარალი; სხვა სრული შემოსავლის მთლიანი თანხა და პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც ასახავს მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის მთლიან თანხას.

თუ საწარმო განცალკევებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებას წარადგენს, ამ შემთხვევაში მას არ ევალება მოგება/ზარალის განყოფილების გათვალისწინება იმ ანგარიშგებაში, სადაც წარმოდგენილია სრული შემოსავალი.

საწარმომ, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განყოფილებების გარდა, უნდა წარმოადგინოს შემდეგი მუხლები, რომლებიც ასახავს მოცემული პერიოდის მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის განაწილებას:

- პერიოდის მოგება ან ზარალი, რომელიც მისაკუთვნებელია:
  არამაკონტროლებელ წილზე; და
  მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე
- პერიოდის სრული შემოსავალი, რომელიც მისაკუთვნებელია:

[8] ბუღალტრული აღრიცხვა;ავტორი:ელენე ხარაბაძე;თბილისი 2009;თავი 8,4

არამაკონტროლებელ წილზე; და

მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე

თუ საწარმო მოგება/ზარალს განცალკევებულ ანგარიშგებაში წარადგენს, ამ შემთხვევაში მან ამ ანგარიშგებაში ინფორმაცია უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მოგება /ზარალის ანგარიშგებაში.

მოგება ზარალის ანაგარიშგებაში ასახული უნდა იყოს პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ოპერაციების თანხები , რომლებიც მოიცავს შემდეგ მუხლებს :

- ამონაგები, რომელშიც გამოყოფილი უნდა იყოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო ამონაგები;
- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;
- ფინანსური დანახარჯები;
- გაუფასურების ზარალი (მათ შორის, გაუფასურების ზარალის აღდგენილი თანხები, ან გაუფასურების შემოსულობა);
- წილობრივი მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებისა და ერთობლივი საწარმოების მოგების ან ზარალის წილი;

თუ ფინანსური აქტივი ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული კატეგორიიდან რეკლასიფიცირებულია და რეკლასიფიკაციის შედეგად შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით - სხვაობა ფინანსური აქტივის ადრინდელ ამორტიზებულ ღირებულებასა და რეკლასიფიკაციის თარიღის მდგომარეობით განსაზღვრულ რეალურ ღირებულებას შორის განსხვავების თანხა

თუ ფინანსური აქტივი „რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ კატეგორიიდან რეკლასიფიცირებულია და შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით - ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც რეკლასიფიცირებულია მოგებაში ან ზარალში;

- საგადასახადო ხარჯი;
- შეწყვეტილი ოპერაციების ჯამური, ერთიანი თანხა

საწარმომ მოგებაში ან ზარალში აღიარებული ხარჯების კლასიფიკაცია უნდა მოახდინოს მათი ეკონომიკური შინაარსის, ან საწარმოში მათი ფუნქციების მიხედვით. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ მეთოდზე, რომელიც უფრო საიმედო და შესაბამის ინფორმაციას იძლევა.[9]

მოგება/ზარალის ფორმას აქვს შემდეგი სახე :

შემოსავლები:	
მთლიანი გაყიდვები	X
წმინდა გაყიდვები	X
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	
მარაგები პერიოდის დასაწყისში	X
შესყიდვების ხარჯები	X
მარაგები პერიოდის ბოლოს	X
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	X
საერთო მოგება	X

საოპერაციო ხარჯები	
სახელფასო ხარჯები	X
ტრანსპორტირების ხარჯები	X
ქირა	X

[9] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1; 2018

რეკლამა	X
კომუნალური ხარჯები	X
საოფისე ხარჯები	X
საბანკომო მსახურების ხარჯები	X
დაზღვევა	X
უიმედო ვალების ჩამოწერა	X
ქონების გადასახადი	X
რემონტი	X
სხვა ხარჯი	X
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	X

საოპერაციო მოგება	X

ცვეთა და ამორტიზაცია	X
საპროცენტო შემოსავალი	X
საპროცენტო ხარჯი	X
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	X
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	X
მოგების გადასახადი	X

დივიდენდი	X

წმინდა მოგება (ზარალი)	**X**

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება მოიცავს:

საანგარიშგებო პერიოდის მთლიან სრულ შემოსავალს, მშობელი საწარმოს მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელ წილებზე მისაკუთვნებელი მთლიანი თანხების ცალკე გამოყოფით.

საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენების ან თანხების რეტროსპექტულად გადაანგარიშების შედეგებს, ბასს 8-ის შესაბამისად.

საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის, წლის დასაწყისსა და წლის ბოლოს არსებული საბალანსო ღირებულებების შეჯერებას, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები ცვლილებები, რომლებიც გამოწვეულია:

- მოგების ან ზარალის ცვლილებით;
- სხვა სრული შემოსავლის ცვლილებით;
- მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებით, სადაც ცალ-ცალკე იქნება ნაჩვენები მესაკუთრეების შენატანები და მესაკუთრეებზე განხორციელებული განაწილებები და შვილობილ საწარმოებში მისი საკუთრების წილების ცვლილებები, რომელიც არ იწვევს კონტროლის უფლების დაკარგვას.

საკუთარი კაპიტალის თითოეული კომპონენტისთვის საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა წარმოადგინოს სხვა სრული შემოსავლის თანხის მუხლობრივი ანალიზი.

საწარმომ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში უნდა აჩვენოს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდების ოდენობა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში აღიარებულია, როგორც მესაკუთრეებზე გაცემული განაწილება და ასევე ერთ აქციაზე დივიდენდის შესაბამისი ოდენობა.

საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს შორის პერიოდში საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები გვიჩვენებს საწარმოს წმინდა აქტივების ზრდას ან შემცირებას საანგარიშგებო პერიოდში. პერიოდის მანძილზე საწარმოს საკუთარ კაპიტალში მომხდარი ჯამური ცვლილება, გარდა იმისა, რომელიც გამოწვეულია მესაკუთრეებთან, როგორც აქციების მფლობელებთან განხორციელებული ოპერაციებითა (როგორიცაა, წილის შენატანები, საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა და დივიდენდების განაწილება) და უშუალოდ ამგვარ ოპერაციებთან დაკავშირებული საოპერაციო დანახარჯებით, გვიჩვენებს საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს საქმიანობიდან მიღებულ მთლიან შემოსავლებსა და ხარჯებს, მათ შორის, მიღებულ შემოსულობებსა და დანაკარგებს.[10]

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზანია, ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის მომხმარებელი უზრუნველყოს პერიოდის განმავლობაში საწარმოში ფულადი სახსრების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ინფორმაციით. იგი გვიჩვენებს ფულადი სახსრების მასას და მოძრაობას, ასევე საწარმოს ფულადი სახსრების ნაშთის ცვლილებას პერიოდის განმავლობაში.

ინფორმაცია ფულადი ნაკადების შესახებ სასარგებლოა იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ექნებათ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა და

[10] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი-ბასს 1

გამოყენების მოთხოვნილება. მომხმარებელთა მიერ ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღება საჭიროებს შეფასებას, თუ რა შესაძლებლობები აქვს საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამომუშავებისათვის, აგრეთვე რამდენად დროული და საიმედოა მათი გამომუშავება.

საწარმოს მიერ მიღებული მოგება და ფულადი სახსრები, როგორც წესი, ერთმანეთს არ ემთხვევა. სავსებით შესაძლებელია, საწარმომ საანგარიშგებო წელი დაამთავროს დიდი მოგებით, მაგრამ ჰქონდეს ცოტა ფული. ამასთან, უდავოა, რომ ფული სამეურნეო სამიანობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგან ფულის საშუალებით ხდება ხელფასების გადახდა, კრედიტორული დავალიანების დაფარვა, ხარჯების ანაზღაურება და სხვა. შესაბამისად, საწარმოს მართვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს ფულადი სახსრების მოძრაობას.

ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაცია, გარდა საწარმოს ხელმძღვანელობისა, საინტერესო და სასარგებლოა ინფორმაციის სხვა მომხმარებლებისთვისაც. ისინი დაინტერესებულნი არიან გაიგონ, თუ როგორ გამოიმუშავებს და იყენებს საწარმო ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

ამგვარად, ფულადი ნაკადების შესახებ ინფორმაციით ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ შეაფასონ საწარმოს მიერ ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების გამომუშავების შესაძლებლობა, დროულობა და საიმედობა. ასეთი ინფორმაცია შესაძლებლობას იძლევა:

- შეფასდეს საწარმოს მოკლე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა;
- დადგინდეს, შეძლებს თუ არა საწარმო კრედიტებისა და დივიდენდების გადახდას;
- განისაზღვროს საწარმოს მოთხოვნები დამატებით დაფინანსებაზე;
- მოხდეს მომავალი პერიოდის ფულადი ნაკადების პროგნოზირება;
- გაირკვეს წმინდა მოგებასა (ან ზარალსა) და ფულადი სახსრების წმინდა მატებას (ან კლებას) შორის განსხვავების მიზეზი.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება სამ მთავარ ჯგუფად იყოფა. ბასს 7-ის განმარტებით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა აისახოს ფულადი სახსრების ნაკადები საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც დაჯგუფებული იქნება:

- საოპერაციო
- საფინანსო და
- საინვესტიციო საქმიანობებად.

საოპერაციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფი - საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების ოდენობა ითვლება საწარმოს საქმიანობის შეფასების მთავარ ინდიკატორად, რადგან აქედან ჩანს, საწარმოს ძირითადი საქმიანობიდან შემოვიდა თუ არა საკმარისი ფულადი სახსრები სესხების დასაფარად, საწარმოო სიმძლავრის შესანარჩუნებლად, დივიდენდების გადასახდელად და ახალ ინვესტიციათა განსახორციელებლად, დაფინანსების გარე წყაროთა მოზიდვის გარეშე. ინფორმაცია წარსული საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული ფულადი ნაკადების ცალკეული ელემენტის შესახებ, სხვა ინფორმაციასთან ერთად, სასარგებლოა საოპერაციო საქმიანობიდან მისაღები ფულადი ნაკადების პროგნოზირებისათვის.

აღნიშნულ ჯგუფში აისახება საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტან საქმიანობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული ფულადი სახსრები. ჩვეულებრივ, საოპერაციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;

გ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები;

დ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;

ე) სადაზღვეო საწარმოსათვის სადაზღვეო პრემიებითა და პრეტენზიებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვევო დახმარებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;

ვ) მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან;

ზ) კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული კონტრაქტებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები.

საინვესტიციო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფი—გვიჩვენებს, თუ რა დანახარჯები იქნა გაწეული იმ რესურსებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მომავალი შემოსავალი და ფულადი ნაკადები. მხოლოდ ისეთი დანახარჯების კლასიფიცირება შეიძლება საინვესტიციო საქმიანობის დანახარჯებად, რომლის გაწევაც იწვევს აქტივის აღიარებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

აღნიშნულ ჯგუფში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია გრძელვადიან აქტივებთან. ჩვეულებრივ, საინვესტიციო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები;

ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფუალდი სახსრები;

გ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;

დ) სხვა საწარმოების საკუტარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ე) სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები;

ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები;

ზ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით გადახდილი ფულადი სახსრები;

თ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით მიღებული ფულადი სახსრები;

საფინანსო საქმიანობის ფულადი ნაკადების ჯგუფი — ისეთი საქმიანობაა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები. ის სასარგებლოა საწარმოს კაპიტალის მომწოდებლის შესაძლო პრეტენზიების შესაფასებლად, მომავალი ფულადი ნაკადების მიმართ.

აღნიშნულ ჯგუფში აისახება ფულადი სახსრები, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს პარტნიორებისა და კრედიტორებისაგან სახსრების მოზიდვასა და მათთვის თანხების გადახდასთან. ჩვეულებრივ, საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებს მიეკუთვნება:

ა) აქციებისა და საკუთარი კაპიტალის სხვა ინსტრუმენტების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) მესაკუთრეთათვის აქციების შეძენის ან გამოსყიდვის მიზნით გადახდილი ფულადი სახსრები;

გ) სავალო ფასიანი ქაღალდების, სესხების, თამასუქების, ობლიგაციების, გირაოებისა და სხვა მოკლევადიანი ან გრძელვადიანი სესხების გამოშვების შედეგად მიღებული ფულადი სახსრები;

დ) სესხების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;

ე) მოიჯარის მიერ ფინანსური იჯარის ვალდებულებების შესამცირებლად გადახდილი ფულადი სახსრები.

საწარმოში კომერციულ გარიგებასა თუ სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოძრაობა, რომელსაც არ აქვს ერთჯერადი ხასიათი, აისახება საოპერაციო საქმიანობის ჯგუფში, მიუხედავად იმისა თუ ერთჯერადი შემთხვევის პირობებში რომელ ჯგუფში შედიოდა მანამდე.

არსებობს ფულადი ნაკადების ანგარიშგების ორი მეთოდი, ესენია:

- პირდაპირი
- არაპირდაპირი.

პირდაპირი მეთოდით, რომელშიც ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით; ან

არაპირდაპირი მეთოდით, რომლის მიხედვითაც წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსული ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, აგრეთვე იმ შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულად ნაკადებთან.[11]

პირდაპირი მეთოდის გამოყენების მნიშვნელობა ისაა, რომ შეფასდეს ფულადი სახსრების შემოსულობებისა და გადასახდელების მთლიანი თანხის სიდიდე, გამოვლინდეს ის მუხლები, რომლებიც ყველაზე მეტად ახდენს შემოდინებისა და გადინების ფორმირებას განხილული სამივე საქმიანობის ჭრილით. აქედან გამომდინარე, ინფორმაცია, რომელიც ამ მეთოდის საფუძველზე მიიღება, გამოიყენება ფულადი საშუალებების ბიუჯეტის ფორმირებისათვის.

[11] ფულადი ნაკადების ანგარიშგება-ბასს 7, 2018

პირდაპირი მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შემოსულობები და გადასახდელები წარმოვადგინოთ დეტალურად , რაც თავის მხრივ, ოპერატიული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა ფულადი საშუალებების საკმარისობის შესახებ მიმდინარე ვალდებულებების დასაფარავად, საინვესტიციო საქმიანობისა და სხვა დამატებითი ანაზღაურების გასაწევად. ამასთან, აღნიშნული მეთოდისთვის დამახასიათებელია გარკვეული ნაკლოვანებაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ხსნის ურთიერთკავშირს მიღებულ ფინანსურ შედეგსა და საწარმოს ანგარიშებზე ფულადი საშუალებების ცვლილებებს შორის.

პირდაპირი მეთოდისგან განსხვავებით, არაპირდაპირი მეთოდით ფულადი საშუალებების მოძრაობის ანგარიშგების შედგენა გულისხმობს არა მარტო ფულადი საშუალებების მუხლების ანალიზს, არამედ ბალანსის აქტივისა და პასივის ყველა მუხლის ანალიზს, რომელთა ცვლილებები გავლენას ახდენს საწარმოს ფულად ნაკადებზე.

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების დროს ფინანსური შედეგი, რიგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარების შედეგად, გარდაიქმნება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდედ მიმდინარე საქმიანობიდან. ფულადი ნაკადები საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან ჩვეულებრივ აისახება პირდაპირი მეთოდით.

გამოიყოფა მაკორექტირებელი პროცედურების განსაზღვრული თანმიმდევრობა:

პირველ რიგში გამორიცხავენ ფინანსურ შედეგზე ამორტიზაციის დარიცხვის ოპერაციებს (როგორც ხარჯებს, რომელსაც თან არ სდევს ფულადი საშუალებების, გადინება) და იმ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია გრძელვადიანი აქტივების გასვლასთან. რადგან მოგების შემცირებას ამორტიზაციის დარიცხვის შედეგად თან არ სდევს ფულადი საშუალებების შემცირება, ამ უკანასკნელის რეალური სიდიდის გასაანგარიშებლად დარიცხული ამორტიზაციის თანხა უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს.

ძირითადი საშუალებების ობიექტებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების გასვლა იწვევს ზარალს მისი ნარჩენი ღირებულების სიდიდით, რომელიც ჩამოიწერება და

ამცირებს ფინანსურ შედეგს. ქონების ნარჩენი ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერაზე არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს ფულადი საშუალებების სიდიდეზე, ამიტომ ზარალის თანხა ნარჩენი ღირებულების სიდიდით უნდა დაემატოს ფინანსური შედეგის სიდიდეს. თუ გრძელვადიანი აქტივების გასვლის ფინანსურ შედეგს წარმოადგენს მოგება, მაშინ წარმოიქმნება სიტუაცია, რომლის შემთხვევაში მისი სიდიდე ორჯერ იქნება გათვალისწინებული: პირველად – წმინდა მოგების შემადგენლობაში და მეორედ – საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი ნაკადების ანალიზისას, როგორც გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები. ორმაგი ანგარიში გამოირიცხება შემდეგი მაკორექტირებელი პროცედურის ჩატარებით: მოგების სიდიდე გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით (გასვლით) გამოირიცხება ფინანსური შედეგიდან, ხოლო ზარალის თანხა დაემატება ფინანსურ შედეგს.

დებიტორული დავალიანების შემცირება იწვევს ფულადი საშუალებების შემოდინების რეალურ ზრდას და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სხვაობა დებიტორული დავალიანების სიდიდეებს შორის (პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს შორის) უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს.

იმ ოპერაციების გავლენა ფინანსურ შედეგზე, რომლებიც დაკავშირებულია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენასთან, იმით გამოიხატება, რომ მარაგების მატება ზრდის საშუალებების რეალურ გადინებას. მაშასადამე, მარაგების ზრდის თანხა უნდა გამოირიცხოს ფინანსური შედეგიდან და შესაბამისად, შემცირების თანხა უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს.

რაც შეეხება ფულადი საშუალებების მოძრაობაზე მიმდინარე პასივების მუხლების ცვლილება მოქმედებს საპირისპიროდ. მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა იმაზე მეტყველებს, რომ საწარმოს აქტივების დიდი ნაწილი და მათ მიერ წარმოებული ხარჯები რჩება აუნაზღაურებელი. იმავდროულად ასეთი ხარჯების არსებობა გულისხმობს თვითღირებულების ზრდას და შესაბამისად, ფინანსური შედეგის შემცირებას.

მიმდინარე საქმიანობიდან წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდის გაანგარიშებისთვის არსებობს საერთო წესი: ფინანსური შედეგის მაჩვენებლიდან უნდა გამოირიცხოს საბრუნავი აქტივების მუხლების ნაშთების ზრდა (ანგარიშგებაში ნაჩვენებია ნიშანი "მინუსით"), ხოლო შემცირება – უნდა დაემატოს (ნაჩვენებია ნიშანი "პლუსით"); მიმდინარე პასივების მუხლების ნაშთების ზრდა უნდა დაემატოს ფინანსურ შედეგს (ნაჩვენებია ნიშანი "პლუსით"), ხოლო შემცირება უნდა გამოირიცხოს (ნაჩვენებია ნიშანი "მინუსით").[12]

პირდაპირი მეთოდის გამოყენებისას ფულადი ნაკადების ანგარიშგება გამოიყურება შემდეგნაირად:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება **20XX წლის მდგომარეობით** (პირდაპირი მეთოდი)	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	X
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(X)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	X
გადახდილი პროცენტი	(X)
გადახდილი მოგების გადასახადი	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**X**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით	(X)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(X)
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები	X
მიღებული პროცენტები	X
მიღებული დივიდენდები	X
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**X**

[12] ჯიქია მ., სრესელი ნ.-ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	X
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	X
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება	(X)
გადახდილი დივიდენდები	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**X**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**X**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**X**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**X**

არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში განსხვავება არის მხოლოდ საოპერაციო საქმიანობის გამოთვლაში:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება **20XX წლის მდგომარეობით** (არაპირდაპირი მეთოდი)	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
მოგება დაბეგვრამდე	X
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:	
ცვეთა	X
ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ზარალი	X
შემოსავალი ინვესტიციებიდან	(X)
საპროცენტო ხარჯები	X
	X
დებიტორული დავალიანების ზრდა	(X)
სასაქონლო მატერიალური ფასეულობების შემცირება	X
მომწოდებელთა კრედიტორული დავალიანების შემცირება	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**X**

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	
შვილობილი საწარმოს შეძენა მისი ფულადი სახსრების გამოკლებით	(X)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(X)
მანქანა დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები	X
მიღებული პროცენტები	X
მიღებული დივიდენდები	X
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**X**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	
შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად	X
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან	X
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება	(X)
გადახდილი დივიდენდები	(X)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	**X**
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**X**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	**X**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	**X**

სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს.

როცა სტანდარტი ან ინტერპრეტაცია კონკრეტულად ეხება რომელიმე ოპერაციას, სხვა მოვლენას ან გარემოებას, სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც ამ შემთხვევაში გამოიყენება, უნდა განისაზღვროს ამ სტანდარტის ან ინტერპრეტაციის გამოყენებით და ბასსს-ის მიერ მოცემული სტანდარტის ან ინტერპრეტაციისათვის გამოცემული შესაბამისი დანერგვის მითითებების გათვალისწინებით.

ფასს სტანდარტები ადგენს სააღრიცხვო პოლიტიკას, რომლის საფუძველზეც, ბასსს-ის გადაწ- ყვეტილებით, მზადდება ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეიცავს შესაბამის და საიმედო ინ- ფორმაციას ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების შესახებ, რომელთა მიმართაც მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენება. ამ პოლიტიკის გამოიყენება სავალდებულო არ არის იმ შემთხვევაში, როდესაც მისი გამოყენების შედეგი არაარსებითია. თუმცა, მიზანშეწონილი არ არის, საწარმომ დაუშვას ან არ გაასწოროს ფასს სტანდარტებიდან არაარსებითი გადახვევები საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, მისი საქმიანობის შედეგების ან ფულადი ნაკადების რაიმე კონკრეტული სახით წარდგენის მისაღწევად.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას, რომლის საფუძველზე მიიღება ინფორმაცია, რომელიც:

ა) შეესაბამება მომხმარებლების ეკონომიკური გადაწყვეტილებების საჭიროებას; და

ბ) საიმედოა იმ თვალსაზრისით, რომ ფინანსური ანგარიშგება:

- სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას, საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას;
- გამოხატავს ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების ეკონომიკურ შინაარსს და არა ფორმას;
- ნეიტრალურია
- არის წინდახედული;
- არის დასრულებული ყველა არსებით ასპექტში.

საწარმომ უნდა აირჩიოს სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად გამოიყენოს მსგავსი ოპერაციები- სათვის, სხვა მოვლენის ან პირობებისათვის, თუ რომელიმე სტანდარტი ან ინტერპრეტაცია სპეცია- ლურად არ მოითხოვს ან ნებას არ რთავს, მოხდეს ელემენტების კატეგორიზაცია, რომლებისთვისაც სხვადასხვა პოლიტიკა

შეიძლება მისაღები იყოს. თუ სტანდარტი ან ინტერპრეტაცია სპეციალურად მოითხოვს ან ნებას რთავს, მოხდეს ელემენტების ამგვარი კატეგორიზაცია, უნდა შეირჩეს შესაბამი- სი სააღრიცხვო პოლიტიკა და უცვლელად იყოს გამოყენებული თითოეული კატეგორიისათვის.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუ ცვლილება:

ა) მოითხოვება სტანდარტის ან ინტერპრეტაციის მიერ; ან

ბ) უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში უფრო საიმედო და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენას საწარმოს მიერ განხორციელებული ოპერაციების, სხვა მოვლენების ან პირობების გავლენის , შესახებ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე, სამეურნეო საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

გასათვალისწინებელია , რომ საწარმოებმა უნდა გამოიყენონ ერთი და იგივე სააღრიცხვო პოლიტიკა, რადგან ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს სჭირდებათ სხვადასხვა პერიოდის ფინანსური ანგარიშგებების შედარება.

ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს იმ საკითხს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებას არ წარმოადგენს:

ა) ახალი ფინანსური პოლიტიკის გამოყენება ოპერაციებისათვის, სხვა მოვლენის ან პირობები- სათვის, რომელთა ეკონომიკური შინაარსი განსხვავებულია მანამდე მომხდარი ანალოგიური მოქმედებისაგან;

ბ) ახალი ფინანსური პოლიტიკის გამოყენება ოპერაციებისათვის, სხვა მოვლენის ან პირობებისათვის, რომლებიც აქამდე არ მომხდარა, ან არაარსებითი იყო.

საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება ხორციელდება ბასს16 და ბასს 38 - ის შესაბამისად.

- საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სტანდარტის ან ინტერპრეტაციის თავდაპირველი დანერგვით, უნდა აღრიცხოს შესაბამისი

სტანდარტის ან ინტერპრეტაციის გარდამავალი დებულებების შესაბამისად, თუ ასეთი არსებობს;

- საწარმომ რეტროსპექტულად უნდა გამოიყენოს სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სტანდარტის ან ინტერპრეტაციის თავდაპირველი დანერგვით, როდესაც შესაბამისი სტანდარტი ან ინტერპრეტაცია არ შეიცავს შესაბამის გარდამავალ დებულებებს ან ცვლილება ნებაყოფლობითია.

სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები შეიძლება აისახოს, როგორც რეტროსპექტულად, ისე პერსპექტიულად.

რეტროსპექტული მიდგომის დროს საწარმომ ცვლილება უნდა შეიტანოს საკუთარი კაპიტალის ყველა გავლენას დაქვემდებარებულ კომპონენტში ისე, თითქოს ახალი სააღრიცხვო პოლიტიკა, ადრეულ მოვლენებსა და სამეურნეო ოპერაციებზე ყოველთვის გამოიყენებოდა.

პერსპექტიული გამოყენება გულისხმობს, რომ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებას მოვლენებისა და სამეურნეო ოპერაციების მიმართ, იმ თარიღის შემდეგ, როცა სააღრიცხვო პოლიტიკა შეიცვალა.

გამომდინარე აქედან , საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ საბოლოო სურათი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე თუ სააღრიცხვო პოლიტიკის რომელ მეთოდს ირჩევს. ვინაიდან, სააღრიცხვო პოლიტიკა, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ინფორმაციის მომხმარებელის შეხედულებაზე ზემოქმედების რეალური ინსტრუმენტია. განმარტებით შენიშვნებში, რომელიც არის ფინანსური ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, მოცემული უნდა იქნეს ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის და მასში შეტანილი ცვლილებების შესახებ.

განმარტებითი შენიშვნები- წარმოადგენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს, რადგან მასში მითითებული ის დეტალები, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე.

როდესაც სტანდარტის ან ინტერპრეტაციის თავდაპირველი შემოღება გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან რომელიმე წინა პერიოდზე ან გავლენა ვრცელდება მომავალ პერიოდზე, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

- სტანდარტის ან ინტერპრეტაციის სათაური;

- ის ფაქტი, რომ ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში ხორციელდება მისი გარდამავალი დე ბულებების მიხედვით;

- სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;

- გარდამავალი დებულებების აღწერა, გამოყენების შემთხვევაში;

- გარდამავალი დებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს მომავალ პერიოდებზე;

- მიმდინარე პერიოდისათვის და თითოეული წარდგენილი წინა პერიოდისათვის, შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა: ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის, რომელზეც გავლენას ახდენს ცვლილება;

- შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა წარდგენილ პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის;

მომდევნო პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებებში საჭირო არ არის ამ ინფორმაციის გამეორება.

როდესაც სააღრიცხვო პოლიტიკის ნებაყოფლობითი ცვლილება გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან რომელიმე წინა პერიოდზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია კორექტირების თანხის განსაზღვრა, ან გავლენა ვრცელდება მომავალ პერიოდზე, საწარმომ განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს:

- სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილების ხასიათი;
- მიზეზები, რის გამოც ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება უფრო საიმედო და შესაბა- მის ინფორმაციას იძლევა;

- მიმდინარე პერიოდისათვის და თითოეული წარდგენილი წინა პერიოდისათვის, შესაძლებ- ლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა: ფინანსური ანგარიშგების თითოეული მუხლისათვის, რომელზეც გავლენას ახდენს ცვლილება;
- შესაძლებლობის ფარგლებში, კორექტირების თანხა წარდგენილ პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის.
- გარემოებები, რომლებმაც გამოიწვია ისეთი ვითარება, რომ შეუძლებელია რეტროსპექტულად გამოყენება კონკრეტული წინა პერიოდისათვის, ან წარდგენილ პერიოდებამდე არსებული პერიოდებისათვის და იმის აღწერა, თუ როგორ და როდიდან გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

როდესაც საწარმო არ იყენებს ახალ სტანდარტს ან ინტერპრეტაციას, რომელიც გამოცემულია, მაგრამ მისი ძალაში შესვლის თარიღი არ დამდგარა, საწარმომ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში უნდა გაამჟღავნოს:

ა) ეს ფაქტი;

ბ) ცნობილი ან რაციონალურ შეფასებას დაქვემდებარებული ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის ან ინტერპრეტაციის შემოღების შესაძლო გავლენის შესაფასებლად იმ პერიოდში, როცა მოხდება მათი პირველად გამოყენება.

თუ ახალი სტანდარტი ან ინტერპრეტაცია გამოცემულია მაგრამ ძალაში არაა შესული კომპანიამ განმარტებით შენიშვნებში ასევე უნდა მიუთითოს:

ა) ახალი სტანდარტის ან ინტერპრეტაციის სახელწოდებას;

ბ) სააღრიცხვო პოლიტიკაში მოსალოდნელი ცვლილების ან ცვლილებების ხასიათს;

გ) თარიღს, რომლისთვისაც მოითხოვება სტანდარტის ან ინტერპრეტაციის შემოღება;

დ) თარიღს, რომლისთვისაც იგი გეგმავს სტანდარტის ან ინტერპრეტაციის შემოღებას;

ე) ამ ორიდან ერთ-ერთს,

- ზეგავლენის განხილვას, რომელიც მოსალოდნელია, რომ ექნება სტანდარტის ან ინტერპრეტაციის შემოღებას საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაზე;
- ამ ეფექტის კონსტანტაციას, თუ გავლენა ცნობილი არ არის, ან არ ექვემდებარება მისაღებ ფარგლებში შეფასებას.[13]

[13] ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 8;გვ:3-7

თავი II ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების მომზადებისა და წარდგენის საკითხები.

2.1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არის მისი აქტივების , ვალდებულებების და საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა გარკვეული თარიღისთვის.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადების საკითხები განხილულია სს“ გალტ ენდ თაგარტის“ კომპანიის მაგალითზე.

სს“ გალტ ენდ თაგარტი“ წარმოადგენს საქართველოში საინვესტიციო კომპანიას, რომელიც ფუნქციონირებს შემდეგი მიმართულებებით: საინვესტიციო საბანკო მომსახურება, აქტივების მართვა, დაგროვილი ქონების მართვა, საბროკერო მომსახურება და კვლევები. ის საქართველოს ბანკის მფლობელობაში არსებულ კომპანიას წარმოადგენს.

ცხრილში მოცემულია სს „ გალტ ენდ თაგარტი“-ს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ლარში.

ცხრილი : 2.1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	2018 წელი	2017 წელი	2016 წელი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები,წმინდა	289 313	308 507	277 766
საინვესტიციო ქონება	1 362 000	1 362 000	949 531
არამატერიალური აქტივები,წმინდა	429 954	147 638	175 283
ინვესტიციები არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპანიებში	1 022 000	2 623 611	2 623 611

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	928 592	928 592	928 592
ფინანსური აქტ. სამართლიან. ღირებ. სხვა სრულ შემოავალში	535 320	-	-
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები	-	126 475	339 207
გაცემული სესხები	-	6 655 552	5 572 218
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	4 567 179	12 152 375	10 866 208
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო ფლობილი ფასიანი ქაღალდები	4 476 798	5 835 213	7 520 092
გაცემული სესხები	8 472 468	225 000	-
დებიტორული დავალიანება	1314524	2 393 377	978 093
ფული და ფულის ექვივალენტები	15 414 867	28 940 478	15 243 905
სულ მიმდინარე აქტივები	29 678 657	37 394 068	23 742 090
სულ აქტივები	34 245 836	49 546 443	34 608 298
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	10 764 236	10 764 236	10 764 236
საემისიო კაპიტალი	24 959 537	24 959 537	24 959 537
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	(18 645 171)	(19 549 284)	(20 569 369)
სულ კაპიტალი	17 078 602	16 174 489	15 154 404
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	-	1 733 811	2 668 019
სულ გრძელვადიანი სესხები	-	1 733 811	2 668 019
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	16 206 488	28 228 401	16 163 963
გადავადებული შემოსავალი	282 965	2 110 524	-
მოკლევადიანი სესხები	674 618	1 299 218	-
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	3 163		475 232
სულ მიმდინარე ვალდებულებები	17 167 234	31 638 143	16 785 875

სულ ვალდებულებები	**17 167 234**	**33 371 954**	**19 453 894**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	**34 245 836**	**49 546 443**	**34 608 298**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება საშუალებას აძლევს ამ ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ოდენობის აქტივს ვალდებულებასა და კაპიტალს ფლობს კომპანია, რამდენად არის მისი აქტივები დაფინანსებული ვალებულებებით , მიღებული შემოსავლებით, დაფინანსებებით ან საკუთარი შენატანებით კომპანიაში. მოცემული კომპანიის მაგალითზე , სადაც მოცემულია ბოლო სამი წლის მონაცემები, შეიძლება გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები კომპანიის საქმიანობის შესახებ.

- არამატერიალური აქტივები საკმაოდ არის გაზრდილი წინა წლებთან შედარებით (დიაგრამა 2.1)
- გაცემული სესხების ოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, ეს ის სესხებია, რომელიც მოკლევადიან პერიოდში უნდა დაბრუნდეს (დიაგრამა : 2.2)
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები სრულად გასხვისებულია
- გარკვეული ოდენობის ფასიანი ქაღალდები გაყიდულია
- წინა წელთან შედარებით საინვესტიციო ქონების ცვლილება არ მომხდარა
- შვილობილ კომპანიებში ინვესტიციები შემცირებულია ხოლო მეკავშირე საწარმოებში უცვლელია
- დებიტორული დავალიანება შემცირებულია , რაც ნიშნავს რომ კომპანიამ მიიღო ნაღდი ფული (დიაგრამა 2.3)
- თუმცა შემცირებულია საერთო ჯამში ფული და მისი ექვივალენტები ლარში

დიაგრამა : 2.1



დიაგრამა : 2.2



დიაგრამა 2.3



აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას , რომ მიღებული თანხების მეშვეობით მოხდა ვალდებულებების დიდი ოდენობის დაფარვა, რამაც გამოიწვია საერთო ჯამში მთლიანი კაპიტალის შემცირება, ერთის მხრივ ეს კარგია, რადგან ჩანს, რომ კომპანია კარგად ახერხებს აღებული ვალდებულებების გასტუმრებას და ასევე ახდენს მოგების ამოღებას კაპიტალიდან, მართალია წინა წელთან შედარებით შემცირებულია კაპიტალიდან მოგების თანხის ამოღება, მაგრამ სამაგიეროდ მოხდა ვალდებულებების დაფარვა. ასევე კარგ სიტუაციას წარმოადგენს ის, რომ საკმაოდ ახდენს სესხების გაცემას კომპანიებზე და ეხმარება სხვა საწარმოებს განვითარებასა და შემოსავლის მიღებაში, რაც თავისთავად წარმოადგენს შემოსავლის მიღების წყაროს ამ კომპანიისთვის მიღებული პროცენტების საშუალებით. ასევე დიაგრამა 2.3 აჩვენებს, რომ დებიტორული დავალიანების ამოღება არ ქმნის საფრთხეს ფულადი სახსრების მიღების თვალსაზრისით.

ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაინტერესებულ პირებს: ინვესტორებს შეუძლიათ ნათელი წარმოდგენა შეიქმნან იმ საკითხზე თუ როგორი მოგება აქვს კომპანიას და რამდენად კარგად ახდენს ვალდებულებების დაფარვას.

2.2 სრული შემოსავლების ანგარიშგება

შემოსავლების ცნება მოიცავს ამონაგებს და შემოსულობას. ამონაგები წარმოიქმნება საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით: ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან, ამონაგები მომსახურეობის გაწევიდან, პროცენტი, დივიდენდი, როიალტი, საიჯარო ქირა. შემოსულობა გულისხმობს სხვა მუხლებს, რომელიც აკმაყოფილებს შემოსავლის შესახებ არსებულ განმარტებას და შეიძლება წარმოიქმნას ან არ წარმოიქმნას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

შემოსავლები= ამონაგებს + შემოსულობა

ბასს 1-ის თანახმად სრული შემოსავლების ანგარიშგება მოიცავს: მოგება-ზარალის ანგარიშგებას და სხვა სრულ შემოსავლებს. პირველი, თავის მხრივ შედგება შემოსავლების, ხარჯების და საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალისაგან.

სხვა სრული შემოსავლები შედგება შემოსავლებისა და ხარჯების იმ ელემენტებისაგან, რომელიც აღიარებული არ არის მოგებაში ან ზარალში, როგორც მოითხოვება ან დაშვებულია სხვა ფასსით. ეს ელემენტებია :

ა) გადაფასების ნამეტის ცვლილება;

ბ) დადგენილ გადასახდელებიანი საპენსიო პროგრამების აქტუარული შემოსულობა და ზარალი;

გ) უცხოური ქვედანაყოფის ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად ვალუტაში გადაანგარიშებისას წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი;

დ) გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივების ხელახალი შეფასებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი;

ბასს 1 მოითხოვს, რომ კომპანიამ გააშუქოს ინფორმაცია სხვა სრული შემოსავლების კომპონენტების რეკლასიფიკაციით (გადატანით) მიღებული შედეგების შესახებ. რეკლასიფიკაციის კორექტირებები არის თანხები, რომლებიც მიმდინარე პერიოდში ახალი კლასიფიკაციით გადაიტანება და აისახება მოგებაში ან ზარალში,

ხოლო მანამდე, მიმდინარე ან წინა პერიოდში, სხვა სრულ შემოსავლებში იყო ასახული. მაგალითად გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა აისახება მიმდინარე პერიოდის მოგებაში ანზარალში. ამ თანხების აღიარება შესაძლებელია სხვა სრულ შემოსავალში არარეალიზებული შემოსულობის სახით, მიმდინარე ან წინა პერიოდში. ეს არარეალიზებული შემოსულობა უნდა გამოიქვითოს სხვა სრულის შემოსავლებიდან იმ პერიოდში, როდესაც რეალიზებული შემოსულობა რეკლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში, რათა თავიდან იქნეს აცილებული მთლიან სრულ შემოსავალში მათი ორჯერ ასახვა.

ბასს 1 მოითხოვს, რომ საწარმომ გააშუქოს ინფორმაცია სხვა სრული შემოსავლების თითოეულ კომპონენტთან დაკავშირებული მოგების გადასახადის შესახებ, მათ შორის რეკლასიფიკაციის კორექტირებები უნდა აჩვენოს ან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ან განმარტებით შენიშვნებში. საწარმოს უფლება აქვს, სხვა სრული შემოსავლების კომპონენტები წარმოადგინოს:

ა) დაბეგვრის შედეგების გამოკლებით; ან

ბ) დაბეგვრამდელი მდგომარეობით.

ზევით განხილული საკითხიდან გამომდინარე კომპანია სს“გალტ ენდ თაგარტი „ ახდენს ამ საკითხების აღრიცხვას შესაბამის ნაწილში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოგიდგენთ სს „ გალტ ენდ თაგარტი“-ს მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას.

ცხრილი : 2.2

	2018 წელი	2017 წელი	2016 წელი
საკომისიო შემოსავალი საკომისიო ხარჯი	2 734 060 (2 826 990)	1 812 662 (2 582 518)	1 050 715 (1 581 567)
წმინდა საკომისიო ხარჯი	(92 930)	(769 856)	(530 852)
საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო ხარჯი	2 502 788 (57 362)	1 890 072 (274 249)	1 549 329 (121 992)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2 445 426	1 615 823	1 427 337

შემოსავალი საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირ. ცვლილებიდან ზარალი სამართლიანი ღირებ.-ით მ/ზ -ში აღრიცხული აქტივების გადაფასებიდან სხვა საოპერაციო შემოსავალი წმინდა სარგებელი ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან წმინდა სარგებელი კურსთაშორის სხვაობიდან ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები სხვა არასაოპერაციო შემოსავალი სხვა ხარჯი	- (460 348) 3 678 500 44 473 356 265 (3 955 573) (39 228)	412 469 - 3 699 636 159 272 (221 420) (3 841 748) - (34 091)	- - 2 332 990 294 967 826 537 (3 382 131) 2 180 (9 161)
მოგება დაბეგვრამდე	1 976 585	1 020 085	961 867
მოგების გადასახადი გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	-	- -	(146 680) (58 014)
წლის მოგება(ზარალი)	1 976 585	1 020 085	757 173
სხვა სრული შემოსავალი გაუფასურების ზარალი არაკონსოლიდირებულ შვილობილ კომპ. განხორციელებულ ინვესტიციებზე სხვა სრული შემოსავლები/ზარალი წლის განმავლობაში	(1 601 611) (1 601 611)	-	-
სულ სრული შემოსავლები წლის განმავლობაში	374 974	1 020 085	757 173
შემოსავალი(ზარალი) ერთ აქციაზე	ლარი	ლარი	ლარი
საბაზისო და გაზავებული	0,03	0,09	0,07

მოგება/ზარალის ანგარიშგება მნიშვნელოვანია, ასევე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, როგორც გარე ასევე შიდა მომხმარებლებისთვის. ამ ინფორმაციის საშუალებით მაგალითად ინვესტორებს შეუძლიათ ნახონ ძირითადი შემოსავლები რა

საქმიანობებიდან შემოდის, რა სახის ხარჯებს სწევს კომპანია წლის მანძილზე განხორციელებული ოპერაციებისთვის, როგორი დამოკიდებულებაა შემოსავლება და ხარჯებს შორის, რამდენად მომგებიანად მუშაობს კომპანია. ყველაზე მნიშვნელოვან საკითხს გარე მომხმარებელთათვის მოგების ოდენობა წარმოადგენს. რაც შეეხება შიდა მომხმარებლებს, მეწილეებს , კომპანიის ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია მნიშვნელოვნად ესაჭიროება რათა მოახდინოს შემოსავლების ზრდა კომპანიაში და ხარჯების მაქსიმალურად შემცირება, ისე რომ ამ შემცირებამ უარყოფითად არ იმოქმედოს დასაქმებულებზე და მიმდინარე საქმიანობებზე. ქვემოთ მოცემულია დიაგრამები, რომლებიც უფრო კარგად ასახავს კომპანიის საქმიანობის შედეგებს.

მოცემული დიაგრამის საშუალებით შესაძლებელია უფრო ნათლად დავინახოთ შემოსავლების რა წილი მოდის ძირითად და დამხმარე საქმიანობებზე პროცენტებში.

დიაგრამა :2.4



2018 წლის ბოლოსთვის ასევე მოცემულია ხარჯების ყველაზე დიდი წილი რა ოპერაციებზე მოდის, რაც ასევე საშუალებას იძლევა ნათლად დავინახოთ რა საკითხზე უნდა გაამახვილოს კომპანიამ ყურადღება. ამ საკითხების გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კომპანიამ მოახდინოს დადებითი გავლენა ფინანსური ინფორმაციით დაინტერესებულ მომხმარებლებზე, განსაკუთრებული მნიშველობა კი ამ საკითხს გააჩნია ინვესტორებისათვის. ბოლო წლის მონაცემებზე დაკვირვებით ჩანს , რომ მთლიანი შემოსავლის ძირითადი ნაწილი მოდის საოპერაციო საქმიანობებზე -40%, ხოლო საპროცენტო (27%) და საკომისიო (29%) შემოსავლები თითქმის ერთ დონეზეა, რაც შეეხება ფასიან ქაღალდებს და კურსთაშორის სხვაობას , ისინი მცირე პროცენტს იკავენებ მთლიან შემოსავალში.

დიაგრამა : 2.5



დიაგრამა 2.5.1



2.5 დიაგრამაში მოცემულია ხარჯების პროპორციული დამოკიდებულება ერთმანეთთან, აქ კარგად ჩანს რომ ძირითადი ხარჯების წილი მოდის ადმინისტრაციულ ხარჯებზე, შემდეგ ადგილს იკავეს საკომისიო ხარჯები დანარჩენი ხარჯები კი საკმაოდ მცირეა პირველი ორი სახის ხარჯთან მიმართებაში. ამ დიაგრამის განხილვის საფუძველზე კარგი იქნებოდა ადმინისტრაციული ხარჯების საფუძვლიანი შესწავლა კომპანიის მხრიდან, რათა დაზღვეული იყოს კომპანია არამიზნობრივი ხარჯების გაწევისგან. 2.5.1 დიაგრამა კი აჩვენებს ადმინისტრაციული ხარჯების განაწილებას, საიდანაც ყველაზე მეტი თანხები მოდის ხელფასებსა და ბონუსებზე.

2.6 დიაგრამაში კი ნაჩვენებია 2016, 2017, 2018 წლის შემოსავლები და ხარჯები ერთად, რათა კარგად დავინახოთ მათი პროპორციული დამოკიდებულება ერთმანეთთან და ასევე წლებს შორის. ამ ცხრილის დახმარებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ კომპანია უნდა ეცადოს ან ხარჯების შემცირებაზე ან შემოსავლის გაზრდაზე, რათა მათი პროპრციული დამოკიდებულება მეტად განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. იმიტომ, რომ უფრო მეტად მიმზიდველი იყოს ის ინვესტორებისთვის და თანხის დაბანდებისთვის მათსავე კომპანიაში. დაინტერესებული პირებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ კომპანიას აქვს შესაძლებლობა მიიღოს კარგი და

ხელსაყრელი მოგების ოდენობა მათი ინვესტირებული სახსრების მეშვეობით, რომელიც მათ მოუტანს მოგებას. 2016 და 2017 წლებში შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა საკმაოდ კარგად ჩანს მოცემული დიაგრამიდან (დიაგრამა: 2.6) , ხოლო რაც შეეხება 2018 წელს აქ საკმაოდ განსხვავებული სიტუაციაა, რადგან შემოსავალი და ხარჯი თითქმის გათანაბრებულია. ამის მიზეზი ვფიქრობ, რომ არის გაზრდილი ხარჯები, რაც გამოიხატება სასესხო თანხების დაფარვაში, აქტივების გადაფასებაში.

დიაგრამა :2.6

დიაგრამა : 2.7



2.7 დიაგრამიდან გამომდინარე კიდევ უფრო კარგად არის ნაჩვენები წლების მიხედვით შემოსავლების ზრდა კონკრეტულ საქმიანობებს შორის როგორ იზრდება, რომელი მიმართულებით იგრძნობა შემოსავლების ზრდა. საოპერაციო საქმიანობიდან ბოლო ორი წლის მონაცემებით ცვლილება ნაკლებად შეიმჩნევა, თუმცა დანარჩენი მიმართულებებით აშკარად იგრძნობა შემოსავლების ზრდა.

დიაგრამა : 2.8



შემოსავლებისა და ხარჯების ერთმანეთთან დაპირისპირებით კარგად ჩანს თუ როგორ იცვლება წლების მიხედვით მათი დამოკიდებულება , რამდენად აღემატება შემოსავალი მის მიღებასთან დაკავშირებულ ხარჯს და როგორ იზრდება ან მცირდება ის წლების განმავლობაში. ამ საკითხის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ დიაგრამა: N2.8 . ამ დიაგრამიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ წელს საკომისიო ხარჯი აღემატება საკომისიო შემოსავალს, საპროცენტო შემოსავლები მნიშვნელოვნად განსხვავებულია საპროცენტო ხარჯებისგან და საოპერაციო შემოსავალი პირველი ორი წლის მონაცემებით მცირედით აღემატება საოპერაციო ხარჯს, თუმცა ბოლო წელს შეინიშნება ამ ოპერაციებიდან ხარჯების შესამჩნევი ზრდა შემოსავლებთან მიმართებაში. მიმდინარე საკითხის ანალიზიდან გამომდინარე, კომპანიამ ყურადღება უნდა მიაქციოს შემოსავლებსა და ხარჯებს შორის დამოკიდებულების განსხვავებას, მნიშვნელოვანია მოახდინოს საკომისიო ოპერაციების შესწავლა და ხარჯების

შემცირების გეგმის ჩამოყალიბება. ასევე საოპერაციო ხარჯების ზრდის გამომწვევი მიზეზის განხილვა 2018 წელს.

2.3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც უზრუნველყოფს ფულადი სახსრების შემოსვლასთან და გასვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელსაც კომპანია იღებს მიმდინარე ოპერაციებიდან, საინვესტიციო წყაროებიდან და ყველა იმ ფულად სახსრებს, რასაც კომპანია იხდის პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ აქტივობებზე.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება შედგება სამი ნაწილისგან:

საოპერაციო

საფინანსო და

საინვესტიციო საქმიანობებისგან.

ფულადი ნაკადების მომზადების ორი ხერხი არსებობს, ესენია:

პირდაპირი მეთოდი და

არაპირდაპირი მეთოდი

სს „გალტ ენდ თაგარტი“-ს ფულადი ნაკადების ანგარიშგება მომზადებულია არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებით. ამ კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებიდან ჩანს თუ რა კომპონენტებს მოიცავს საოპერაციო საქმიანობების ჯგუფი. ის წარმოადგენს ფულადი ნაკადების პირველ ჯგუფს, რომელიც იწყება წმინდა ფულადი შემოსავლებით, ასახულია ასევე პერიოდის განმავლობაში სხვა შემოსავლები და გადახდილი თანხები განხორციელებულ ოპერაციებზე.

საინვესტიციო საქმიანობა , რომელშიც იგულისხმება ქონება, აღჭურვილობა ან საწარმო, ანალიტიკოსებისთვის და დაინტერესებული მხარისათვის წარმოაგდენს მნიშვნელოვან საკითხს გამომდინარე იქედან, რომ მათთვის მნიშვნელოვანია

შემოსავლის შემოსვლა საოპერაციო საქმიანობიდან ვიდრე საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობიდან, რადგან ამ ნაწილში შემოსავალი შესაძლოა აქტივის ან აღჭურვილობის გაყიდვიდან იყოს მიღებული.

რაც შეეხება საფინანსო საქმიანობას ამ ანგარიშგებაში არის ბოლო ელემენტი, და განიხილავს ბიზნესში გამოყენებულ ფულად სახსრებს. ანალიტიკოსებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ეს ნაწილი, რადგან აქ ჩანს თუ რა ოდენობის დივიდენდებია გაცემული , სესხების დაფარვა და სხვა მნიშველოვანი საკითხები.

ცხრილი : 2.3

	2018 წელი	2017 წელი	2016 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე	1 976 585	1 020 085	961 867
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	105 370	151 227	130 634
საინვესტიციო ქონების გადაფასება	-	(412 469)	-
ზარალი სამართლიანი ღირებულებით მ/ზ-ში აღრიცხული აქტივების გადაფასებიდან	460 348	-	-
სავაჭრო ფლობილი ფას.ქაღალდ. გამომუშ. მოგება	-	221 420	-
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან	(356 265)	(9 615)	(826 537)
მოგება ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან	-	-	(2 180)
მოგება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის გასხვისებიდან	-	-	(176 580)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	3 743	818	1 393
საპროცენტო შემოსავალი	(2 502 788)	(1 890 072)	(1 549 329)
საპროცენტო ხარჯი	68 183	274 249	121 992
ცვლილება მიმდინარე აქტივებსა და ვალდებულებებში:			
სავაჭრო ფლობილი ფასიანი ქაღალდების შემცირება /(ზრდა)	2 036 961	1 959 587	(1 530 054)
დებიტორული დავალიანების შემცირება (ზრდა)	264 544	(1 509 228)	119 562
კრედიტორული დავალიანების ზრდა	(12 706 958)	14 635 072	8 087 574

საოპერაციო საქმიანობით გენერირებული ფულადი სახსრები	(10 650 277)	14 441 074	5 338 342
გადახდილი პროცენტი	(69 934)	(184 472)	(108 823)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(155 514)	(90 000)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(10 720 211)	14 101 088	5 139 519
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში			(818 342)
გასაყიდად გამზადებული ფინანსური აქტივების ყიდვა/გაყიდვა	(363 285)	- (35 113)	(13 998)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	-	14 769	26 594
მეკავშირე კომპანიებში ინვესტიციების გაყიდვა	-	-	382 700
ძირითადი საშუალებების შეძენა	(84 553)	(140 095)	(44 703)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(287 683)	(20 198)	(135)
გაცემული სესხები	226 256	(225 000)	-
მიღებული პროცენტები	387 173	451 951	263 673
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(122 092)	46 314	(204 211)
ფულანი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აქციების გამოშვებით მიღებული შემოსავალი	-	-	-
კაპიტალის გაზრდა მშობელი კომპანიის მიერ	-	-	
შვილობილი კომპანიებიდან მიღებული სესხები	-	-	450 000
საბანკო სესხებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	1 564 571	2 569 930
საბანკო სესხების დაფარვა	(2 348 819)	(1 659 631)	(1 728 947)
გაცემული დივიდენდები	(25 000)	-	-
საფინანსო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(2 373 819)	(95 060)	1 290 983
ფული და ფულის ექვივალენტები			

1 იანვრის მდგომარეობით	28 940 478	15 243 905	8 750 656
წმინდა ზრდა/შემცირება წლის განმავლობაში კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	(13 216 122) (309 489)	14 052 342 (355 770)	6 226 291 266 958
31 დეკემბრის მდგომარეობით	15 414 867	28 940 478	15 243 905

ფულადი ნაკადების ანგარიშგება , როგორც აღვნიშნეთ მნიშვნელოვნად ეხმარება დაინტერესებულ პირებს დასკვნების გაკეთებაში, ის მოგება/ზარალი-სგან განსხვავებულ შედეგს გვიჩვენებს, რაც გამოიხატება იმაში , რომ საწარმოს შეიძლება მ/ზ -ით დიდი მოგება დაუფიქსირდეს,მაგრამ რეალურად ჰქონდეს ცოტა ფული და მისი ექვივალენტები. კომპანისთვის ფულად სახსრებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც მისი საშუალებით ხდება ხელფასების გაცემა, სხვადასხვა ყოველდღიური ხარჯების ანაზღაურება, დავალიანებების დაფარვა თუ სხვა . აქედან გამომდინარე ამ ანგარიშგებას უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენი კომპანიის ანგარიშგებიდან ჩანს , რომ კომპანიას საკმაოდ აქვს ფულადი სახსრები . ცხრილის მიხედვით პირველი და ბოლო წლის მონაცემებით კომპანიას წლის ბოლოს აქვს თითქმის ერთნაირი ფულადი სახსრები, განსხვავებით 2017 წლის მონაცემებისგან, რომელიც თითქმის ორჯერ აღემატება დანაჩენ მონაცემებს. ამ გადმოსახედიდან კომპანია ეფექტურად ახდენს ვალდებულებების დაფარვას, აქტივების შეძენას, დივიდენდების გაცემას, რაც საკმაოდ კარგ შედეგზე მიუთითებს. ძირითადი აქტივობა შეინიშნება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებში და საფინანსო საქმიანობაში. საფინანსო საქმიანობიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაწილიდან ძირითადად მოხდა სასესხო საპროცენტო ვალდებულების დაფარვა, საოპერაციო საქმიანობის ნაწილში უნდა აღინიშნოს , რომ ამ ოპერაციაზე გავლენას ახდენს აქტივის გადაფასების ღირებულება , რაც ამცირებს მ/ზ-ს. საოპერაციო საქმიანობიდან ჩანს რომ დებიტორული დავალიანება მცირდება და შესაბამისად გამოდის რომ ფული შემოვიდა, კრედიტორული დავალიანება შემცირებულია.

საინვესტიციო საქმიანობა კი აჩვენებს რომ მოხდა არამატერიალური და მატერიალური აქტივების შეძენა. აღნიშნული მსჯელობა ეხება 2018 წლის ინფორმაციას.

საერთო ჯამში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფულადი ნაკადების ანგარიშგება ნათლად გვიჩვენებს წლის მანძლიზე განხორციელებული ოპერაციებს დეტალურ მონაცემებს იმაზე თუ რა ნაწილიდან შემოვიდა თანხები, რა აქტივებისა და ვალდებულებების შეძენა და დაფარვა მოხდა და ძირითადად რა ნაწილში მიმდინარეობს თანხების ბრუნვა.

2.4 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

კაპიტალის ცნება განიმარტება, როგორც სიმდიდრე რომელსაც ფლობს კომპანია ფულადი სახით, აქტივითა თუ არამატერიალური აქტივის სახით. ის გვეხმარება იმის დადგენაში თუ როგორ იზრდება საწარმოს საკუთარი კაპიტალი წლების მანძილზე. საკუთარ კაპიტალში რეინვესტირებული მოგება ზრდის კომპანიის საერთო ღირებულებას. სს“გალტ ენდ თაგარტის“ საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ღირებულება წლების განმავლობაში იზრდება რეინვესტირებული მოგების საშუალებით, ეს ნათლად ჩანს რადგანაც სააქციო და საემისიო კაპიტალის ცვლილება არ აღინიშნება.

2018 წლიდან, როგორც ცხრილში ჩანს, გამოიყოფა ახალი საკითხი, რომელიც ეხება ფასს 9 -ის გავლენას საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაზე. ამ ახალი ელემენტის გავლენა საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებაში ახდენს მთლიანი კაპიტალის ზრდას. სანამ მის გამომწვევ მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, განვიხილავთ თავად ფასს-9 -ის მნიშვნელობას.

ფასს 9- ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამ სტანდარტის მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას მოითხოვება, რომ გამოყენებულ იქნას მოსალოდნელი ზარალის მიდგომის გამოყენება. სტანდარტის ძირითადი პრინციპი გახლავთ ის, რომ გაუფასურების რეზერვი მანამ აღიარდება, სანამ კომპანია განიცდის

რეალურად ზარალს. ამიტომ ზარალი აღიარდება აქტივის საკუთრებაში ფლობის პერიოდის მანძილზე, მიუხედავად იმისა რა მდგომარეობაში იქნება ის.

2018 წლის ბოლოს , მას შემდეგ რაც მოხდა ფასს 9 ზე გადასვლა , ამ საკითხმა გავლენა მოახდინა მთლიანი კაპიტალის ზრდაზე. ეს ზრდა შესაძლოა გამოწვეულ იქნას აქტივების ღირებულების გაზრდით ყიდვა- გაყიდვის პროცესში.

ცხრილი : 2.4

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება	სულ კაპიტალი
2015წ.31დეკემბრის მდგომარეობით	10 764 236	24 959 537	(21 326 542)	14 397 231
წლის მოგება (ზარალი) წლის სხვა სრული შემოსავალი წლის სრული შემოსავალი	- - -	- - -	757 173 - 757 173	757 173 - 757 173
2016წ.31დეკემბრის მდგომარეობით	10 764 236	24 959 537	(20 569 369)	15 154 404
წლის მოგება (ზარალი) წლის სხვა სრული შემოსავალი წლის სრული შემოსავალი	- - -	- - -	1 020 085 - 1 020 085	1 020 085 - 1 020 085
2017წ.31დეკემბრის მდგომარეობით	10 764 236	24 959 537	(19 549 284)	16 174 489
ფასს 9-ზე გადასვლის ეფექტი			554 139	554 139
01/01/18 წ.(გადაანგარიშებული)	10 764 236	24 959 537	(18 995 145)	16 728 628
წლის მოგება(ზარალი) წლის სხვა სრული შემოსავალი/(ზარალი) სულ სრული შემოსავალი გაცემული დივიდენდები	- - - -	- - - -	1 976 585 (1 601 611) 374 974 (25 000)	1 976 585 (1 601 611) 374 974 (25 000)
2018წ.31დეკემბრის მდგომარეობით	10 764 236	24 959 537	(18 645 171)	17 078 602

ქვემოთ მოყვანილი დიაგრამა N 2.9 კარგად ასახავს თუ როგორ იზრდება წლიდან წლამდე საკუთარი კაპიტალის ოდენობა. ის ყოველ წელს წინა წელთან შედარებით

უფრო მეტად არის გაზრდილი და დაახლოებით სამჯერ აღემატება 2018 წლის მონაცემები 2015 წლის მონაცემებს. ძირითადი ზრდა კაპიტალის გამოწვეულია მოგების თანხის საშუალებით, რომელიც ასევე იზრდება წლიდან წლამდე, რადგან ცვლილება სააქციო და საემისიო კაპიტალში არ შეინიშნება. სხვა ცვლილება საკუთარ კაპიტალში აისახება ფასს 9 -ზე გადასვლით გამოწვეულ ეფექტში, რომელის ზრდის კაპიტალს, გაუფასურების ზარალი შვილობილ კომპანიებში განხორციელებულ ინვესტიციებზე და დივიდენდების გაცემა ამცირებს მას, თუმცა ამ ოპერაციების მიუხედავად საკუთარი კაპიტალი მაინც გაზრდილია წინებთან შედარებით. დიაგრამაში (N6) ასევე გათვალისწინებულია ფასს 9 ზე გადასვლისას გამოწვეული ეფექტი .

დიაგრამა : 2.9



დასკვნა

ზემოთ ხსენებული ინფორმაციის განხილვით, რომელიც ნაშრომშია მოყვანილი კარგად ჩანს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს კომპანიის შესახებ ფინანსური ანგარიშგების სწორად მომზადებასა და წარდგენას, რათა დაინტერესებული მხარისათვის მოხდეს ინფორმაციის მიწოდება. მოცემული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება კი ეკისრება საწარმოს ხელმძღვანელობას.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ძირითადი საკითხები, რომლებიც აღნიშნულია ნაშრომში, არის ფინანსური მდგომარეობის ანგრიშგება, მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგრიშგება, ფულადი ნაკადების ანგარიშგება და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება. სწორედ ამ საკითხებში ასახული ინფორმაცია მის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს მიიღონ ეკონომიკური გადაწყვეტილებები. ამრიგად, შესაძლებელია გაკეთდეს შეფასება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის, განხორციელებული ცვლილებების , საქმიანობის შედეგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ, თუ რამდენად მომგებიანად ახდენს საკუთარი რესურსების განაწილებას სხვადასხვა მიმართულებით.

სს“ გალტ ენდ თაგარტის“ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება საშუალებას აძლევს ამ ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს, მიიღონ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა ოდენობის აქტივს, ვალდებულებასა და კაპიტალს ფლობს კომპანია, რამდენად არის მისი აქტივები დაფინანსებული ვალებულებებით , მიღებული შემოსავლებით ან საკუთარი შენატანებით კომპანიაში. მოცემული კომპანიის მაგალითზე , სადაც მოცემულია ბოლო სამი წლის მონაცემები, შეიძლება გამოტანილ იქნას გარკვეული დასკვნები კომპანიის საქმიანობის შესახებ.

ცხრილი:2.1- ში არსებული მონაცემებით შეიძლება ითქვას , რომ მიღებული თანხების მეშვეობით მოხდა ვალდებულებების დიდი ოდენობის დაფარვა, რამაც გამოიწვია საერთო ჯამში მთლიანი კაპიტალის შემცირება, ერთის მხრივ ეს კარგია, რადგან ჩანს, რომ კომპანია კარგად ახერხებს აღებული ვალდებულებების გასტუმრებას და ასევე ახდენს მოგების ამოღებას კაპიტალიდან, მართალია წინა წელთან შედარებით შემცირებულია მოგების ამოღებული, მაგრამ სამაგიეროდ მოხდა ვალდებულებების

დაფარვა. ასევე კარგ სიტუაციას წარმოადგენს ის, რომ საკმაოდ ახდენს სესხების გაცემას კომპანიებზე და ეხმარება სხვა საწარმოებს განვითარებასა და შემოსავლის მიღებაში, რაც თავისთავად წარმოადგენს შემოსავლის მიღების წყაროს ამ კომპანიისთვის მიღებული პროცენტების საშუალებით.

სრული შემოსავლების ანგარიშგებას რაც შეეხება, მოიცავს მ/ზ-ს და სხვა სრულ შემოსავალს, რომლებიც თავის მხრივ შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ელემენტებისგან. მოცემული ინფორმაციის გაანალიზებით, რომელიც ცხრილის საშუალებით იქნა გაკეთებული ჩანს , რომ 2016 წლიდან მოყოლებული 2018 წლის ჩათვლით შემოსავლები ყველა კატეგორიაში ყოველწლიურად იზრდება , ამის შესაბამისად იზრდება ხარჯებიც, თუმცა აღსანიშნავია რომ სხვაობა მათ შორის მცირდება, განსაკუთრებით ეს სხვაობა კარგად ჩანს საკომისიო შემოსავალსა და ხარჯს შორის, მიუხედავად იმისა რომ ხარჯები ამ ნაწილში ყოველთვის აღემატება შემოსავალს ბოლო წელს ეს სხვაობა რადიკალურად შემცირებულია, ამ საკითხთან დაკავშირებით ხარჯების სიმცირე გამოწვეული შესაძლოა იყოს შესაბამისი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯების შემცირებასთან. ასევე შემცირებულია საპროცენტო ხარჯები ბოლო პერიოდში და შემოსავლისა და ხარჯის ერთმანეთთან დამოკიდებულებაც, ხოლო სხვა საოპერაციო შემოსავლებს რაც შეეხება წინა წელთან შედარებით შემცირებულია. საერთო ჯამში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მოგება დაბეგვრამდე ყოველ წელს ზრდის პერსპექტივით ხასიათდება, ეს შედეგი გამომდინარეობს იქედან , რომ მიუხედავად ზემოთხსენებულისა ხარჯები შემცირებულია ყველა კატეგორიაში , განსაკუთრებით კი ბოლო წლის მონაცემებით. მნიშვნელოვანია ისიც , რომ ხარჯების შემცირება არ შეხებია ზოგად ადმინისტრაციულ ხარჯებს, პირიქით გაზრდილიც არის, ამ ფაქტის მიხედვით შეიძლება ითქვას , რომ საერთო საქმიანობის განსახორციელებლად თანამშრომლებზე და სხვა საკითხებზე გასაწევი ხარჯების ეკონომიას არ აქვს ადგილი და უფრო მეტად ხდება ამ საკითხებზე ზრუნვა. მოგების ზრდაში წვლილი ასევე შეაქვს კურსთა შორის სხვაობასაც. რაც შეეხება სრულ შემოსავალს წლის მანძილზე, ბოლო წელს მოხდა მისი შემცირება, რაც გამოიწვია შვილობილ კომპანიებზე განხორციელებული ინვესტიციების გაუფასურების ზარალმა. მოცემული დასკვნები კარგად არის ასახული ცხრილი: 2 - სა და

გამოყენებული დიაგრამების საშუალებით, რაც უფრო ნათელს ხდის არსებულ შეფასებებს.

ფულადი სახსრების ანგარიშგებაში ასახულია შემოსავალთან და გასავალთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც სამი ნაწილისგან, საოპერაციო, საფინანსო და საინვესტიციო ნაწილისგან შედგება, ამ სამიდან, საოპერაციო ნაწილის შედგენის ორი ხერხი არსებობს, რომლიდანაც კომპანია იყენებს არაპირდაპირ მეთოდს, რომლის მიხედვითაც არის შედგენილი ფულადი ნაკადების ანკარიშგება.

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება მნიშვნელოვანია დაინტერესებული პირებისთვის გადაწყვეტილების მისაღებად, რადგანაც ამ ინფორმაციით კარგად განისაზღვრება თუ საიდან შემოედინება ძირითადი თანხები და რაზე ხდება ამ თანხების გადახდა, რის შესაძენად იხარჯება არსებული სახსრები და ის თუ რა თანხას ფლობს კომპანია არსებულ პერიოდში, რადგან მოგება ზარალთან შედარებით ის იძლევა ზუსტ ინფორმაციას იმაზე თუ რა თანხას ფლობს არსებული მომენტისთვის კომპანია, მოგება ზარალის ინფორმაციამ კი შეიძლება აჩვენოს , რომ მეტ სახსრებს ფლობს ვიდრე ის რეალურადაა გარკვეული თარიღისათვის.

სს“ გალტ ენდ თაგარტის „ ფულადი ნაკადების ანგარიშგების მონაცემებზე დაკვირვებით 2016 წლიდან 2018 წლის პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგ ოპერაციებს:

საოპერაციო ნაწილიდან, როგორც არაპირდაპირი მეთოდის გამოყენება აჩვენებს, ხდება არაფულადი მუხლებით მოგების კორექტირება და შესაბამისად ამის საფუძველზე ხდება წმინდა ფულადი საშუალებების სიდიდის განსაზღვრა მიმდინარე საქმიანობიდან. ასე იმიტომ კეთდება, რომ მაგალითად ცვეთის თანხა არ გულისხმობს რეალურად თანხების გასვლას საწარმოდან.

კომპანიის მონაცემებით ამ ნაწილში 2018 წელს წინა წლებთან შედარებით ცვეთის თანხა შემცირებულია , მიზეზი აქტივების მთლიანი ღირებულების შემცირება შეიძლება იყოს. ცვეთის თანხა ემატება დაბეგვრამდელ მოგებას, რადგან ის არაფულადი მუხლია და რეალურად თანხის შემცირებას არ გულისხმობს. 2017 წელს

აქტივების გადაფასებამ გაზარდა მოგება, ხოლო 2018 წელს შეამცირა, ამიტომ ეს მოქმედებები დაკორექტირდება მ/ზ-ში, ანუ 2017 წელს ქონების გადაფასება გამოაკლდება მოგებას , რადგან ამით იყო გაზრდილი, ხოლო 2018 წელს კი პირიქით დაემატება . ფასიანი ქაღალდებით გამომუშავებული მოგება 2017 წელს დაემატება მ/ზ -ს, კურსთაშორის სხვაობა, როგორც არაფულადი მუხლი გამოაკლდება მოგებას, მოგება მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციის გასხვისებიდან და ასევე ინვესტიციის გასხვისება გამოაკლდება დაბეგვრამდელ მოგებას, ძირითადი საშუალების ჩამოწერა არ გულისხმობს თანხის გასვლას, ამიტომ ეს დაემატება მოგებას, საპროცენტო შემოსავალი გამოაკლდება ხარჯები კი დაემატება. ფასიანი ქაღალდების ზრდა გამოაკლდება, ხოლო შემცირება დაემატება, ასევე მოხდება დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, ხოლო კრედიტორული დავალიანიების შემთხვევაში ზრდა ემატება და შემცირება აკლდება.

სწორედ ამ კორექტირებების საშუალებით გამოვლინდა, რომ კომპანიას 2016 და 2017 წლებში ქონდა მეტი ფულადი სახსრების შემოდინება ვიდრე გადინება , რისი მეშვეობითაც 2018 წელს მოახდინა ვალდებულებების დაფარვა და აქტივების შეძენა. 2018 წლიდან ჩანს , რომ თანხების გადინება აჭარბებს მათსავე შემოდინებას. ასევე ამ დაგროვილი თანხების გამო იყო 2017 წელს მეტი ფულადი სახსრები დანარჩენ მოცემულ წლებთან შედარებით. ასევე გასათვალისწინებელია, რომ 2017 წელს კომპანიის სახსრების ზრდა განაპირობა შვილობილი კომპანიიდან და საბანკო დაწესებულებიდან სესხების აღებამ ძირითადი საქმიანობიდან მიღებულ სახსრებთან ერთად. სწორედ ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადებას, რადგან კარგად ჩანს, რომ კომპანიას მ/ზ -ით არსებულ ინფორმაციასთან შედარებით მეტი თანხა აქვს, ასევ რეალურად რა თანხების გადახდა მოხდა ვალდებულებებზე, საიდან შემოვიდა თანხები.

საერთო ჯამში კომპანიას აქვს კარგი მდგომარეობა ფულადი სახსრების არსებობის თვალსაზრისით, მიუხედავად იმისა, რომ წინა წლებში ქონდა სესხები აღებული, ეს თანხა არ იყო დიდი მის საერთო სახსრებთან შედარებით. სესხის აღება შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო იმით , რომ არსებულ მომენტში ესაჭიროებოდათ

თანხების არსებობა საქმიანობის განსახორციელებლად. კიდევ ერთი დადებითი საკითხი, რაც არის კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ისაა , რომ მას ყოველ წელს საკმაო ფულის არსებობობა უფიქსირდება , რაც იმაზე მიუთითრებს, რომ თავისუფლად შეუძლია ვალდებულებების დაფარვა.

საინვესტიციო საქმიანობიდან შეიძლება ითქვას, რომ კომპანიამ 2016 წელს მოახდინა ინვესტიციების განხორციელება , რაც კომპანიის საქმიანობის გაფართოებაზე მიუთითებს და მომავალი შემოსავლის ზრდის პერსპექტივაზე. ასევე ახორციელებს ისეთი აქტივების ყიდვას, რომელსაც მომავალში გასაყიდად გამოიყენებს, ამ აქტივების რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება. ძირითადი საშუალებების გაყიდვას და ყიდვასაც აქვს ადგილი, ამით შეიძლება დავასკვნათ , რომ ხდება ძირითადი საშუალებების განახლება.

და რაც შეეხება საფინანსო საქმიანობას, მისი საშუალებით ვხედავთ , რომ კომპანიამ მიიღო ფულადი სახსრები 2016 და 2017 წლებში საბანკო სესხებისა და შვილობილი კომპანიებიდან მიღებული სესხების მეშვეობით, რომელმაც მონაწილეობა მიიღო საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობით განხორციელებულ ოპერაციებში. ასევე მნიშვნელოვანია რომ ამ ნაწილში ჩანს საბანკო ვალდებულებების დაფარვა და ისიც, რომ მოხდა აქციონერებზე დივიდენდების გაცემა.

და ბოლოს, რაც შეეხება საკუთარი კაპიტალის ანგარიშგებას, რომელშიც მოცემულია სააქციო კაპიტალი, საემისიო კაპიტალი, გაუნაწილებელი მოგება და სხვა შემოსავალი, აჩვენებს სრულ კაპიტალს , რაც კომპანიას გააჩნია ვალდებულებათა დაფარვის შემდგომ. მისი საშუალებით ასევე კარგად არის ასახული კაპიტალის სამმაგი ზრდა 2018 წლის მდგომარეობით 2015 წელთან შედარებით. ასევე ასახულია გაცემული დივიდენდის თანხა და 2018 წელს ფასს 9 - ზე გადასვლაც. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს კაპიტალის ანგარიშგებაში, რადგან წინასწარ განისაზღვრება ის ზარალი, რაც შეიძლება განიცადოს კომპანიამ. ამ შემთხვევაში კი მოხდა კაპიტალის ზრდა, რომელიც შესაძლოა აქტივის ღირებულების ზრდამ გამოიწვია.

მოცემული ანგარიშგებების გაანალიზება აჩვენებს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ამ ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული პირებისათვის, რადგან ის ნათლად წარმოაჩენს კომპანიის საქმიანობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მეთოდით ფულადი ნაკადების ანგარიშგების მომზადება უფრო მარტივია პრაქტიკული თვალსაზრისით და არ მოიცავს არაფულადი მუხლების გავლენას. სამუშაო პროცესში კომპანიის შიგნით, ვფიქრობ, რომ უკეთესია პირდაპირი მეთოდის გამოყენება.

კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს და მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოსა და ბუღალტრული აღრიცხვის ყველა პრინციპის დაცვით. წარდგენილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, დებიტორული დავალიანების ამოღების მხრივ ბოლო წელს წინასგან განსხვავებით გამოყოფილი არ ქონდა წინასწარი გადახდები,რაც კარგია სწრაფად აკუმულირებადი თანხების დასადგენად. ასევე მნიშვნელოვანია ისიც , რომ ახდენს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს მათი ლიკვიდურობის რისკის დასადგენად.

კომპანიას ვურჩევდი რომ დანამატების გაცემის კუთხით კარგი იქნებოდა წარმოადგინოს გაცემის საფუძველი რაში მდგომარეობს და რა პერიოდულობით გაიცემა, რადგან ის მთლიან გაცემულ ხელფასს აღემატება.

ასევე კარგი იქნებოდა საკომისიო ხარჯების ანალიზის ჩატარება და ნათლად წარმოჩენა იმ საკითხისა, თუ რატომ აღემატება საკომისიო ხარჯები საკომისიო შემოსავლებს ყოველ წელს. ვფიქრობ ეს საკითხი ხელს შეუწყობდა ამ მიმართულებით მომგებიანობის ზრდას.

ასევე სასურველი იქნებოდა ფინანსურ მენეჯმენტს წარმოედგინა ინფორმაცია აღრიცხვის კუთხით უიმედო ვალებისა და საეჭვო მოთხოვნების შესახებ, რადგან ამ საკითხზე კომპანიას არაფერი არ აქვს ნაჩვენები ფინანსურ ანგარიშგებაში.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 1, 2018წ.

„ფინანსური ანგარიშგების არსი“

2. ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, 2018წ.

„ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები“

3.ბუღალტრული აღრიცხვის კონცეპტუალური საფუძვლები, 2018წ.

4.ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი - ბასს 7

„ფულადი ნაკადების ანგარიშგება“

5. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი; 2018წ. ბასს 8

6. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2010წ.

7. ფინანსური ინსტრუმენტები; ფასს 9

8. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, 2018წ. ფასს1

9. ჯიქია მ., სრესელი ნ. „ფულადი ნაკადების ანალიზის მეთოდები და მათი თავისებურებები“

10. რ. ძაძამია, რ. ჟორჟოლიანი, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება“, „ბაფი“, 2008

11. ფინანსური ინსტრუმენტები; ბასს 32

12. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი , 2018 წ. ბასს 38

,,არამატერიალური აქტივები“

13.კვატაშიძე ნ.,ხორავა ა., გოგრიჭიანი ზ. -ფინანსური ანგარიშგება

14. http://www.storno.ge/index.php/ge/2013-06-03-14-23-54/2013-06-03-14-26-08/125-2013-06-22-13-18-33.html

15. http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X5.4.htm

16. http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/_biznesi%20da%20ekonomika/X5.2.htm

17. http://www.auditgroup.ge/page.php?id=44

18. https://www.investopedia.com/terms/c/cashflowstatement.asp

19.https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98_%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90

20.https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/bugadsaf.pdf

21. https://gse.ge/broker-companies/galtandtaggart